221
1933

# დროშა

№ 8 ორკვირეული ჟურნალი



„პირველი მაისი" თ. აბაკელიას

# საბჭოთა აზერბეიჯანის 13 წლისთავი



პირველ მაისს სტალინის სახელობის ქარხნების ჯგუფში ბაქოში ამუშავდება „ალკო“ სისტემის კიდე
ერთი დადგმულობა მაღალ ხარისხოვან ზეთების დასამზადებლად



ბაქო. ილიჩის ბუხტა. ჭაბურღილი
№ 663, რომელიც დღე-ღამეში
იძლევა 2000 ტონა ნავთს

## გაუმარჯოს
## მოძმე
## საბჭოთა აზერბეიჯანს!



ბაქო, 26 ის სახელობის კულტურის სასახლე

### სამთავისის კომუნაში



ამხ. ხატისკაცი, თექთუმანიძე, ილურ
მჭედლიძე, მცხვეთაძე და ქარქიშვილი
კომუნის საუკეთესო ბრიგადირები—საგა
ხული თესვის დამკვრელები—შეტან
არიან წითელ დაფაზე. მაგრამ კომუნ
არიან ზარმაცებიც—შავი დაფის დამამ
ნებლები—ბერიაშვილი და მჭედლიძე.

კომუნის ხელმძღვანელებმა წითელ
შავ დაფაზე შეტანილთა სახელებიც უ
აღნიშნონ რომ ნათელი იყოს, რომ
მჭედლიძეა დამკვრელი და რომელი ზა
ცი.

1933 წ. 30 აპრილი

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი
გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემა

დროშა

რედაქცია: წულუკიძის ქ. № 2
რედაქტორის და რედაქციის მდივნის ნახვა
შეიძლება 12-დან 6 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მაისი

1-ლი მაისი—მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობის, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ძალების დათვალიერების და შემოწმების დღე მიმდინარე წელს ტარდება სრულიად განსაკუთრებულ პირობებში. ეს განსაკუთრებული პირობები გამომდინარეობენ ერთის მხრივ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამარჯვებებიდან საბჭოთა კავშირში და მეორეს მხრივ ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავებიდან და გართულებიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში, უმუშევართა ათეულ მილიონიან არმიების კიდევ უფრო, გადიდებიდან, ფაშისტური შეტევის გაძლიერებიდან, კლასობრივი ბრძოლების გამწვავებიდან, მუშათა კლასის ფართო მასებში რევოლუციური განწყობილებების და კომპარტიის გავლენის ზრდიდან.

ასი მილიონზე მეტი უმუშევარი, ათეული მილიონი სიმშილისგან სასიკვდილოდ განწირული, მასების აუტანელი და აღუწერელი სიღატაკე და გაჭირვება, ციხეები, წამება, დახვრეტა და დაპატიმრება იმათი, ვინც იბრძვის სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ასეულ მილიონიან კოლონიალურ მონების ყვლეფა,—აი რას აძლევს მშრომელ კაცობრიობას კაპიტალიზმი. სამხედრო მრეწველობის, ნავთის ფოლადის და მსოფლიო ბირჟების მეფეები ახალი მსოფლიო სისხლის ღვრაში ეძებენ გამოსავალს ეკონომიური და ფინანსიური კრიზისიდან. ისე, როგორც 19 წლის წინ, მაშინ ათეულ მილიონ განწირულთა გამოყენებით მსოფლიო სასაკლაოზე ლამობენ გადაჭრან კრიზისის გორდიუსის კვანძი, მსოფლიო ახალი გადაყოფის და პირველ რიგში—საბჭოთა კავშირის ხარჯზე გაახანგრძლივონ კაპიტალიზმის არსებობა.

ბურჟუაზიული პრესაც კი ვერ ახერხებს იმ საშინელებათა დაფარვას, რომელიც კაპიტალიზმმა მოუმზადა ასეულ მილიონ ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკს: მასიური თვითმკვლელობანი, სიმშილი, სიცივე, სიტიტვლე, მასიური დაავადებანი, ბავშთა სიკვდილიანობის და უპატრონობის ზრდა, ფიზიკური გადაგვარება, სასოწარკვეთილება და უპერსპექტივობა—აი რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს მშრომელი კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი. შრომის ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება, საკონცენტრაციო ბანაკები და იძულებითი შრომა,—აი ხვედრი იმათი, ვისაც აქვს ბედნიერება „შრომითა თვისითა მოიპოვოს პური მისი“ კაპიტალისტურ ფაბრიკა-ქარხნებში; მუშაობა გარიჟრაჟიდან დაღამებამდე, ზედამხედველების მათრახები, ჯარიმები, მონობა, წამება და ჩაგვრა—აი რას აძლევს კოლონიების მშრომელ მასებს იმპერიალიზმი. ასეული მილიონი განწირული, გამომწყვდეული იმპერიალისტების ყაზარმებში და სამხედრო გემებზე,—აი კიდევ ერთი დიდი ნაწილი მშრომელი კაცობრიობის, რომელთაც გენერლები და იმპერიალიზმის სხვა ქოფაკები წვრთნიან და ამზადებენ იმისათვის, რომ მიუსიონ ერთმანეთს და ახალი მსოფლიო სისხლის ღვრით გაახალგაზრდავონ კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის მეხოტბეები და შემოტევა არასდროს არ ყოფილა ასეთი ძლიერი, როგორიც მისი ახლანდელი საბედისწერო კრიზისის წლებში. მაგრამ კაპიტალიზმის შემოტევა ხვდება პროლეტარიატის, მშრომელი გლეხობის და კოლონიების და ნახევრად კოლონიების ჩაგრულ და გაყვლეფილ მასების ზრდად წინააღმდეგობას. მშრომელი მასების ეს აღშფოთება თავის გამოხატულებას ჰპოულობს გრანდიოზულ კლასობრივ ბრძოლებში, რომლითაც თავისი ქვეყნის კაპიტალისტებს უმართავენ ესპანეთის და საფრანგეთის მუშები და გლეხები, ინგლისის, ამერიკის და სხვა ქვეყნების პროლეტარები, იმ გმირულ ბრძოლაში, რომელსაც ჰიტლერ-გერინგის უსაშინელესი ტერორის მიუხედავად აწარმოებენ გერმანიის მუშები; იმ სისტემატიურ აჯანყებებში და მღელვარებაში, რომელიც არყევს იმპერიალიზმის ბატონობას კოლონიებში. იმპერიალიზმის შეიარაღებულ ძალებშიც კი ვრცელდება რევოლუციური ბაცილები—მღელვარება ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო გემებზე, აჯანყება ჰოლანდიის ფლოტში, ფრანგ, ბელგიელ, შვეიცარიელ და ესპანელ ჯარისკაცების დაძმობილება მუშებთან და უარის თქმა გაფიცულ მუშების დახვრეტაზე—ყველაფერი ეს წარმოადგენს მრისხანე სიმპტომს იმ შეიარაღებულ მილიონების კლასობრივი გამოფხიზლებისა, რომლების გამოყვანას აპირობს იმპერიალიზმი თავის წინააღმდეგობათა იარაღით გადაჭრის მიზნით.

სოციალ-ფაშისტური დემაგოგიას, რომლის მიზანია მასების რევოლუციური სიფხიზლის მოდუნება და დაჩლუნგება და კაპიტალიზმის დღეების გახანგრძლივება უფრო და უფრო ნაკლები გასავალი აქვს. გერმანიის მაგალითზე მსოფლიო მუშათა კლასმა მიიღო თვალსაჩინო გაკვეთილი იმის, თუ რა ფასი აქვს სოციალ-დემოკრატიის ყველა სიტყვებს და დაპირებებს, თუ რას ნიშნავს სოციალ-ფაშისტური „ნაკლები ბოროტების“ პოლიტიკა, რომელმაც გზა გაუკაფა ჰიტლერის დიქტატურას და მოამზადა რევოლუციური მუშების მასიური დახვრეტის, საკონცენტრაციო ბანაკების, მუშათა კლასის მონაპოვართა უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაციის, ფაშისტური ბანდების განუკითხავი თარეშის, საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის და ებრაელთა პოგრომების რეჟიმი. კაუცკების, ველსების და ლეიპარტების ქვემძრომობამ, მათმა გამოსვლამ ფაშისტური რეჟიმის აშკარა აგენტურის როლში, ნდობის უკანასკნელი ნაშთები დაუკარგა სოციალ-ფაშისტებს იმ შეგნებული მუშების დიდ ნაწილში, რომელიც აქამდე მიჰყვებოდა სოციალ-დემოკრატიას.

კომინტერნის რევოლუციური „დროშის ქვეშ, რომელიც გამოტარებულია 14 წლის მძლავრ კლასობრივ ბრძოლებში, ირაზმებიან მშრომელთა ახალი მილიონები მსოფლიოს ყველა კუთხეებში. ყოველი ახალი კლასობრივი ბრძოლის—გაფიცვის დემონსტრაციის, შეტაკების შემდეგ კომპარტიის დროშის ქვეშ დგებიან პროლეტართა ახალი ათასეულები, რომლებმაც შეიგნეს ბურჟუაზიული დემოკრატიის ფასი, შეიგნეს, რომ თავის დაღწევა გაჭირვებიდან და სიღატაკიდან შეიძლება მხოლოდ კაპიტალიზმის დასამარებით, მხოლოდ იმ გზით, რომელსაც უჩვენებს კომინტერნი, რომელიც მსოფლიო მუშათა კლასს უჩვენა ლენინის ბოლშევიკურმა პარტიამ ოქტომბრის გმირული გამარჯვების, შინაურ და გარეშე მტერთან ძლევამოსილი ბრძოლის და სოციალიზმის მშენებლობის დიდმა ორგანიზატორმა.

ათეული მილიონი პროლეტარი გამოვა 1-ლ მაისს დედამიწის ყველა კუთხეში: კაპიტალისტურ ქვეყნებში და კოლონიებში გამოვლენ კაპიტალისტური მონობის, ფაშისტური ტერორის, სიმშილობის და სიღატაკის მსხვერპლნი, რომლებიც მოახდენენ დემონსტრაციას თავისი მზადყოფნისა დაასამარონ ბურჟუაზიული სამყარო, უზრუნველჰყონ თავისთვის, მსგავსად საბჭოთა კავშირის პროლეტარებისა, თავისუფალი შრომა და შემოქმედება. საბჭოთა კავშირში პირველ მაისს გამოვლენ მშრომელი მასები, რომლებიც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით განთავისუფლდნენ კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან, გაუმკლავდნენ თეთრგვარდიელთა ბანდებს და 14 სახელმწიფოს ინტერვენციონისტულ

## ქუთაისის საკონსერვო ქარხანა იწყებს მუშაობას



1-ლი მაისისათვის საქართველოს მომქმედ საწარმოების რიგებს შეემატება ქუთაისის საკონსერვო ქარხანა.

ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და წლიურად მოგვცემს 25 მილიონ ქილა 7 სახის კონსერვს.

სურათზე—ქარხნის საერთო ხედი.

... აშენებენ ახალ, უკლასო საზოგადოებას.

ძმური ინტერნაციონალური სოლიდარობის ძაფები აკავშირებს მსოფლიო მუშათა კლასის ამ ორ უდიდეს რაზმს—კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებს და სოციალისტური საბჭოთა კავშირის მშენებლებს. საბჭოთა ქვეყნის პროლეტარები უდიდესი სიმპატიებით და ღრმა ყურადღებით ადევნებენ თვალს იმ ბრძოლას, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი აწარმოებს კაპიტალის ბატონობის დასამხობათ. კაპიტალისტური ქვეყნების რევოლიუციონური მუშათა კლასი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მაგალითში ხედავს ბრძოლისა და გამარჯვების ორგანიზაციის დიად გაკვეთილს. გამხნევებული და აღფრთოვანებული სოციალიზმის გამარჯვებით საბჭოთა კავშირში, კაპიტალისტურ მსოფლიოს მუშათა კლასი იმჭვალება კიდევ მეტი მზადყოფნით ბოლო მოუღოს კაპიტალიზმის ბატონობას.

კაპიტალიზმი ომში ეძებს გამოსავალს კრიზისიდან.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა მშრომელ კაცობრიობას უჩვენა სწორი გზა თავის დაღწევისა კრიზისებიდან, ომებიდან, სიმშილობისა და სიღატაკისაგან.

ეს არის გზა ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობის სოციალიზმის მშენებლობის.

საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა ათასგვარი სიძნელეების დაძლევით ამ გზაზე მიაღწიეს გიგანტურ წარმატებებს. წინ კიდევ ბევრი სიძნელეები გვექნება მაგრამ მთავარი სიძნელეები უკვე დაძლეულია. ჩვენ უკვე იმდენად ღონიერნი ვართ, რომ ვერ შეგვაშინებს გარეშე მტრების ოინები და მათი მოსყიდული აგენტების მავნებლური ცდები. ჩვენ ფხიზლად ვდგევართ სოციალისტურ სამშობლოს სადარაჯოზე, ზურგგამეგრებულნი მსოფლიო მუშათა კლასის თანაგრძნობით და დახმარებით.

დემონსტრანტების მილიონიანი არშიები გამოვლენ პირველ მაისს ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის, მადრიდის, პრაღის, ვენის, ვარშავის, ბუენოს-აირესის და სხვა ათეულ ქალაქების ქუჩებში რომ გამოსთქვან ბურჟუაზიული სიძულვილი კაპიტალიზმის მიმართ, თავისი სიმპატიები და ერთგულება საბჭოთა ქვეყნისადმი და თავისი მტკიცე სურვილი—იარონ საბჭოთა კავშირის მუშების გზით. ბურჟუაზია ტყვიამფრქვევებით, მხრჩოლავი გაზებით და პოლიციელთა მათრახებით უპასუხებს საპირველმაისო კოლონების გუგუნზე, მაგრამ ვერაფერი შეაჩერებს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის ზრდას.

საზღვრებზე გადაწვდება პროლეტარების დაკოჟრილი ხელები და მსოფლიოს კიდით კიდემდე გაისმის ბურჟუაზიისათვის თავზარდამცემი ყიჟინა;

— სიკვდილი კაპიტალიზმს!
— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!



ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ (თბილისი) საშეფო სოფელში 1-ლი მაისის ჩასატარებლად გამოჰყო ბრიგადა ამხ. ბ...ვაურის, ტაბატაძის და პაპუკაშვილის შემადგენლობით.

# სიტყვა ფაშიზმზე

ჩემივე ხელით
გამოვიღადრი,
თუ ჩამეხლიჩა
ოდესმე ყელი,
თუ ვერ დავძახე
ყველაზე ადრე,
თუ ვეღარ ვიტყვი,
რაც მაქვს სათქმელი!
კატის კნუტივით
კნავანა პოეტს
უჯობს დაიცეს
გულში მახვილი,
ვიდრე მიეცეს
მუნჯ სიმარტოვეს
და არ ისმოდეს,
მისი ძახილი!
მეც ჩემი კალმით
გამოვიღადრი
თუ ჩამეხლიჩა
ოდესმე ყელი,
ყელი,
რომლის ხმას
ყველაზე ადრე
ელის
როგორც ჰიმნს
ქალაქი ვრცელი!
აი, ამ წუთშიც,
ხმა-გამზადებულს,
ისე მენთება
გული-საკირე,
რომ დავილრჩვები,
ამღელვარებულ
გრძნობას შებოჭვა
თუ დაუპირე!
ამხანაგებო!
დღეს ყოველ მხრიდან
ისმის დაგეშილ
ფაშისტთა ღრენა;
ვინც კაპიტალიზმს
ქედს არ უხრიდა,
მოჰკლეს,
მოჰკვეთეს
ენა,
მარჯვენა!

გერმანიაში
ჰიტლერის ბრბონი
არბევენ,
რასაც მარქსიზმი ჰქვია
რეაქცია
ბატონ-პატრონი,
და მსაჯულია მუშტი და ტყვია
ვერა,
ვერ მოსპობ
ის მოძღვრება და ის პარტია,
რომლის ბელადათ
მსოფლიოში არის სტალინი!
დღეს ამ მეხანძრის
ჩირაღდნები ყველგან ანთია
და გარმანიის
კომპარტიაც ყიჟინებს ქინით:
კმარა,
დასცხეთო მაგ არამზადებს!
რომელ ერთს მოჰკლავ,
ვართ უამრავი,
თქვენვე დაგაღრჩობთ
დახოცილთ სისხლი;
აიხვეტებით
როგორც ნაგავი
რევოლუციის
მძაფრი ქარიშხლით!
ვართ კომინტერნის
დიდი არმიის
ბოლშევიკური
მტკიცე რაზმები.
ვერ შეგვაფერხებს
ვერც სიტყვა ტყვიის
ვერც საპყრობილე,
ვერც ზარბაზნები!
რევოლუციის
აწყვეტილი ბრგე გოლიათი
მთელ იმპერიას
აბარბაცებს დარტყმით და
რისხვით;
ყოფნა-არყოფნის
საკითხია ჯალათი
მათი,
რომელთა საზრდოს
შეადგენდა მშრომელთა სისხლი.

## 26 კომუნარის სახელობის ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა

26 კომუნარის სახელობის ქარხანამ ბოლშევიკური ბრძოლა გაშალა ახალი ტეხნიკის დაუფლებისათვის და საბჭოთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის იმპორტისაგან.

ქარხანა ამზადებს რთულ მანქანებს—საფეიქრო დაზგებს, ჩაის როლერებს და სხვ. პირველი კვარტალის გეგმა ქარხანამ შეასრულა 107,2 პროცენტით.

სურათზე—აბრეშუმის ძაფსართავი მანქანის მონტაჟი 26-ის სახელობის ქარხანაში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მაისი

ერთმა ამერიკელმა უმუშევარმა, გაჰყიდა საკუთარი სისხლი სნეუ-
ლის ტანში გადასასხმელად. აი უცხოეთის მედიცინის „ბრწყინვა-
ლე“ აღმოჩენა.

დაადგით დაფნა,
გვირგვინზე მეტი,
მეცნიერების ახალ ქურუმ ებს,
ვინც გადარჩენის წმინდა იმედი
კაცობრიობას კვლავ დაუბრუნეს.
მემატიანევ,
დასწერე გვერდი
შთამომავლობის ყურადსა ღებად,
სთქვან, აღმოჩენა ეს კიდევ ერთი
სასწაულებად თუ გასაღდება.
სთქვან,
მეცნიერად იგი თუ ღირდ ეს
ვინც მშიერ მასებს ურჩევ მზრუნავად,
რომ სისხლი თვისი
მიჰყიდონ მდიდრებს
ჭლექიან შვილთა განსაკურნავად.
ჯანსაღი სისხლი,
დაჩაგრულ გმირთა;
(კადნიერების აზრო თაღლითო!)
ბარიკადების ჩანჩქერი წმინდა
ვინმე ბანკირის ფულში გაჰყიდონ!
მემატიანევ,
ფურთხის და ზიზღის
**დასწერე** გვერდი ნახოს მყობადმა.
მებრძოლს კი ჰშვენის
გაიღოს სისხლი
ქუჩების ქვებში ჩასახმობადა.
არც საფასური
ოქრო და ვერცხლი,
მოწოდებული ბანკირის ხელით,
არც აღმოჩენა ნიჭიერ მხეცის
ტეხნიკის სიტყვა უკანასკნელი
არ უნდა მებრძოლს...
ჯანსაღი სისხლი
ჭლექიან ბავშზე ვერ გაიცემა,
ის დათარეშობს სხეულში მისთვის
და მიმოქცევის ჰქვიან სისტემა,
რომ მოიგონოს
დიდებით, კვეხნით,
გამარჯვების და წინსვლის მყობადმა,
რომ ჟსასყიდლოთ დაიქცეს ერთხელ
ქუჩების ქვებში ჩასახმობადა.
პირველი მაისი;
პირველი მაისი,
ბარიკადის და რისხვის თარიღი,
ადიდეთ იგი,
ისევ და ისევ
ამბოხებულთა სისხლი დაღვრის
ის კომუნიზმის აჩრდილი,
არა,
ლენინი დაჰქრის თვით ევროპაში,
დაესხმის ქარხნებს, მხედრების კარავს
ეძახის გმირებს, უყივის, ფრთას შლის.
გაისმის რისხვა:
— ესროლეთ, ცეცხლი,
ჩაეცით დაშნა, არის ბრძანება —
ქუჩებში დაძრწის მაძღარიმხეცი
და ყმუის ტყვიით კაცთა წამებას.
სოციალიზმის პოეტო უთხარ
ქვეყანას მუხთალს: —
— კმარა, დაჩუმდი —
ხელში მიჭირავს მსოფლიორუქა
რევოლუციის შემდეგი მარშრუტი.
პირველი მაისი, პირველი მაისი
ბარიკადის და რისხვის თარიღი
ადიდე იგი
ისევ და ისევ
ამბოხებულთა სისხლი დაღვრის,
არ გაყიდული ბანკირის ფულში
არ მოკლებული გმირთა მარჯვენას,
სისხლ ნაკლულის და ნეხვისფრად ლურჯის
ჭლექიან მოდგმის გადასარჩენად.
სოციალიზმის პოეტო უთხარ
ქვეყანას მუხთალს:
— კმარა დაჩუმდი—
ხელში მიჭირავს მსოფლიორუქა
რევოლუციის შემდეგი მარშრუტი.

**1933 წ. 22 აპრილი.**

## სოციალ-ფაშისტების დახმარებით და ლოცვა-კურთხევით გერმანია იარაღდება





მარცხნივ: გერმანიის პირველი ჯავშნოსანი აგებული ომის შემდეგ. კანონ-პროექტი ჯავშნოსანის აგების შესახებ მიღებულ იქნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინადადებით და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხმებით. მარჯვნივ—ამ დღეებში ვილჰელმსჰაფენში ჩაუშვეს გერმანიის მეორე ახალი ჯავშნოსანი. კრედიტები ამ ჯავშნოსანისათვის გაიღო ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ.

1912 წლის 5 მაისს—რევოლიუციონურ მოძრაობის გარდატეხის წელს — ბოლშევიკების პრაღის კონფერენციის დადგენილების თანახმად გამოვიდა **ლენინის** „პრავდა“-ს პირველი ნომერი.

„პრავდა“ იშვა რევოლიუციონური მოძრაობის აზვირთების პერიოდში. თუ 1910 წელს 4 ათას პოლიტიკურ გაფიცვას ჰქონდა ადგილი, 1912 წელს, „პრავდა“-ს გამოსვლის წელს, მეფის რუსეთი 850 ათასი პოლიტიკური გაფიცვის მოწამე იყო.

ეს ის წელი იყო, როდესაც იმავე პრაღის კონფერენციაზე ლიკვიდატორ-მენშევიკები გამორიცხულ იქნენ პარტიიდან.

ამავე წელს დატრიალდა ლენის საშინელი ტრაღედია.

რევოლიუციის ქარიშხალში იშვა „პრავდა“ და მისი გამოსვლის დღე აღინიშნება, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონური პრესის დღე.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდ როლს თამაშობს მსოფლიოში პრესა. გიპერბოლა არ ყოფილა, როდესაც ნაპოლეონმა მას უწოდა „მეექვსე დიდი სახელმწიფო“. თანამედროვე ეტაპზე ბეჭდვითი სიტყვა გადაიქცა უძლიერეს საშუალებად, რომელსაც მიმართავენ კაცობრიობის საზოგადოებრივი კლასები გაათრებულ კლასობრივ ბრძოლაში. ვინ არ იცის ცნობილი „დეილი მეილ“-ის, „მორნინგ პოსტ“-ის, „მატენ“-ის, დეილი ტელიგრაფ“-ის, „ბერლინერ ტაგებლატ“-ის „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის „დეილი ჰერალდი“ თუ „ფორვერტს“-ის მილიონიან ტირაჟების ბურჟუაზიული იდეოლოგიით მოშხამულ სტრიქონების გავლენა ადამიანთა განუვითარებელ შეგნებაზე.

განა შეიძლება უარყოფილ იქნეს ბურჟუაზიული პრესის გავლენა კაპიტალისტურ სისტემის შენარჩუნების საქმეში?

ჩვენი პარტია მუდამ, მისი წარმოშობის დღიდან, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პრესას. ჯერ კიდევ **მარქსი** და **ენგელსი** ოცნებობდენ ნამდვილი რევოლიუციონურ „საკუთარი“ გაზეთის შექმნაზე. ჩვენი პარტიის გენერალურ მოქანდაკის **ლენინის** ხელში ძველი „ისკრა“ იყო ის საუკეთესო იარაღი, რომლის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბოლშევიკური პარტიის წარმოშობა.

ა რატომ წარმოადგენს ბოლშევიკური რევოლიუციონური ტრადიციის ერთ-ერთ აუცილებელ ბერკეტს პარტიული პრესა და მის ფურცელზე მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის ბრძოლა.

ძველ „ისკრას“ მეთაურობდა ამხ. **ლენინი**, 1912 წლის „პრავდა“-ს ხელმძღვანელათ იყო **ლენინი** და მისი უშუალო ორგანიზატორად ამხ. **სტალინი**. 1917 წლის 5 მარტს, როდესაც კვლავ ლეგალურად აღსდგა „პრავდა“, მას სათავეში ჩაუდგა ამხ. **სტალინი**. ემიგრაციიდან დაბრუნებისთანავე **ლენინი** შევიდა „პრავდა“-ს სარედაქციო კოლეგიაში და თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მას.

ჩვენი მოძმე პარტიები, რომლებიც ეხლა არალეგალურ პირობებში იბრძვიან კაპიტალისტური სამყაროს დასამხობად, ერთ-ერთ უძლიერეს იარაღად ბეჭდვით სიტყვას ხმარობენ.

გერმანიაში სადაც მძვინვარებს „ნეტარხსენებულ“ სტოლიპინის უშნო მოწაფე ჰიტლერის თეთრი ტერორი, არალეგალურად გამოდის გერმანიის მოძმე ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე“. მისი ტირაჟი 350 ათას უდრის.

რურის ოლქში კვლავ გამოდის რურის მემაღაროების მებაირახტრე „რურ ეხო“, რომლის ტირაჟი 150 ათასს აღემატება, გერმანიის პარტია არალეგალურად უშვებს თავის თეორეტიულ ორგანოს „რუნდშაუ“, რომლის ტირაჟი 100 ათასამდე აღის და პრაღაში სცემს ჩვენი ზოგიერთი მკითხველისათვის ნაცნობ საილიუსტრაციო ჟურნალს „არბაიტერი ილიუსტრირტე ცაიტუნგ“. და ეს ისეთ პირობებში, როდესაც კომუნისტური ორგანოების მხოლოდ წაკითხვისთვის ადამიანს რამდენიმე წლით ჰგზავნიან საკონცენტრაციო ბანაკში.

ჰიტლერისათვის შესაძლებელი გახდა სოციალ-ფაშისტურ „ფორვერტს“-ის ერთი დარტყმით მოსპობა, მისთვის შესაძლებელი გახდა გერმანიის მთელი სოციალ-ფაშისტურ პრესის ლიკვიდაცია ერთ დეკადაში, მაგრამ მის ძალას აღემატება გერმანიის ბოლშევიკური პრესის ლიკვიდაცია. გერინგჰიტლერ-პებელსის, „ფოლკიშე ბეობახტერ“ და „ანგრიფ“ უძლურია არალეგალურ „როტე ფანეს“, „რურ ეხო“-ს და „გამბურგერ ეხოს“ არგუმენტების წინაშე. გერმანიის მუშათა კლასი, რომელიც მიჩვეულია ათეული წლების განმავლობაში თავისი საკუთარი მუშური გაზეთების კითხვას, არავის დაანებებს ჩვენი მოძმე პარტიის ბეჭდვითი ორგანოებს და სანამ იარსებებს გერმანიის მუშათა კლასი, მანამ იარსებებს გერმანიის ბოლშევიკური პრესაც.

საფრანგეთის კომპარტიის ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევათ, მის დამამშვენებელ თვისებათ მუდამ ითვლებოდა და ითვლება ევროპის რომანულ ქვეყნების მუშების საყვარელი გაზეთი „ლიუმანიტე“. მისი ორასათასიანი ტირაჟს რამოდენიმე წუთში იტაცებს დილით ადრე სამუშაოზე მიმავალი მუშა. პარიზის მეტროში და ბრიუსელის ტრამვაიში, ლიეჟის მუშურ მატარებელში და მადრიდის ავტობუსში, განთიადს საუ-

## „როტე ფანე“ გამოდის არალეგალურად


Berlin, Mitte März 1933

Die Rote Fahne

Zentralorgan der Kommunistischen Partei Deutschlands (Sektion der 3. Internationale)

Begr. von Rosa Luxemburg und Karl Liebknecht

Heraus mit Thälmann und andere politische Gefangene!

Ernst Thälmann, der Führer der roten Freiheitspartei in Ketten! Mit ihm Hunderttausende der besten und unerschrockensten Kämpfer für den Sozialismus hinter Kerkermauern gesetzt! Nicht nur in Deutschland, in allen Ländern der Erde wo sich die rote Fahne der Freiheit ... kapitalistische Knechtschaft und Tyrannei erhebt, durchbrandet ein Schrei des Massenprotestes gegen die faschistische Gewaltherrschaft das werktätige Volk. Glühend gehasst von allen Trustkönigen, Junkern und Börsenfürsten, aber geliebt und geehrt von allen Ausgebeuteten und Unterdrückten, so ist der Name Thälmann leuchtendes Symbol der unverbrüchlichen Treue zum proletarischen Freiheitskampf, wegweisendes Beispiel bolschewistischer Zielklarheit und unbezwingbaren revolutionären Kampfesmutes. Hier zeigen die faschistischen Volksbetrüger ihr wahres Gesicht. Sie krümmen keinem Kapitalisten ein Haar. Sie sperren keine Schieber und Börsenjobber ein. Aber sie richten eine Sturzflut gemeinster Lügen und niederträchtigster Verleumdungen gegen den Kommunismus, entfesseln eine Welle blutigster Verfolgungen gegen alle, die wie Thälmann und Tausende namenloser Helden im Kampf für Brot und Freiheit, allem Terror zum Trotz, führend vorangehen.

Jetzt, ihr Werktätigen, zeigt Eure Macht! ...

Heraus mit dem Genossen Thälmann!

Heraus mit allen eingekerkerten Freiheitskämpfern!

Nieder die faschistische Terrorherrschaft!

Es lebe die Arbeiter- und Bauernrepublik!

Aufruf der kommunistischen Internationale

An ... aller Länder!

Verteidigt die Gewerkschaften!

გერმანიის პროლეტარიატი ღირსეულ პასუხს აძლევს ფაშისტურ დიქტატურას. 350.000 ცალის რაოდენობით ვრცელდება გერმანიაში არალეგალური „როტე ფანე“ (რეპროდუქცია გაზ. „ლიუმანიტე“-დან)

## პოლიციელები ჰფანტავენ უმუშევრებს



ნიუ-იორკის პოლიცია ჰფანტავს უმუშევართა დემონსტრაციას, რომელიც შესდგა რუზველტის სახლის წინ. უმუშევრები მოითხოვდნენ პრეზიდენტისაგან სამუშაოს და სასწრაფო დახმარების აღმოჩენას უმუშევრებისა და მათი ოჯახებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა




შაოდ მიმავალი მუშა, პოლიტიკური კრედოს განურჩევლად ეწაფება „ლიუმანიტე“-ს. ბრძოლით ალსავსე სტრიქონებს, და დორესაც ტარდიე-კიაპმა მოინდომეს „ლიუმანიტე“-ს წახრჩობა, საფრანგეთის მუშათა კლასი, როგორც ერთი, ბალ კლდესავით დადგა თავის საყვარელ გაზეთის სადარაჯოზე და გადაარჩინა ის. საფრანგეთის პარტიამ ერთ თვის განმავლობაში „ლიუმანიტე“-ს ფონდში შეაგროვა მილიონ ფრანკზე მეტი.

ასევე იბრძვის „მუნდო ობრერო“ ესპანეთში, „დეილი უორკერ“ ინგლისში, ვენის „როტე ფანე“ ავსტრიაში, პროლეტარული გაზეთები იტალიაში, ლათინურ ამერიკაში, ჩინეთში, იაპონიაში. არ მოიპოება არც ერთი კუთხე დედამიწის ზურგზე, სადაც არსებობს ბოლშევიკური პარტია, რომ იქ არ გაისმოდეს კომუნისტურ მებრძოლ ბეჭდვითი ორგანოების რევოლიუციონური ხმა.

ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული მუშათა კლასის სოციალისტურ სამშობლოში, ბეჭდვითი სიტყვა გადაიქცა სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღათ. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ტირაჟით აღემატება ათეულ მილიონებს.

ლენინის და სტალინის „პრავდა“-ს მილიონიანი ტირაჟი ეფინება მსოფლიოს ერთ მეექვსედზე და მიუწოდებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისაკენ, მისი მოწინავეები — ეს ჩვენი რევოლიუციონური შტაბის — ლენინურ ცეკას ბრძანებებია გაშლილ რევოლიუციონურ შეტევის ფრონტებზე.

გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა საქართველოს პრესა. გაიზარდა და განმტკიცდა რაიონული გაზეთები. მარტო ხელოვნების ფრონტზე გამოდის ორი გაზეთი. ჩვენმა მწერლობამ გაეხსნა უდიდესი საშუალებები თავისი შემოქმედების ამბეჭდვისათვის. რომელიმე პერიოდული ჟურნალი, სახელგამის გამოცემების ათასიანი ტირაჟები, ეს მაშინ, როდესაც იქ, კაპიტალისტურ საზღვარში, სტეფან ცვეიგის ნაწერების ტირაჟი პირველ გამოცემაში არ აღემატება 500 ცალს.

ჩვენი ბოლშევიკური რევოლიუციონური პრესა მუდამ მხარშიუდგა ჩვენ პარტიას, ის მუდამ ბოლშევიკურად ტენდენციური იყო, ის მუდამ ქადაგობდა მარქსიზმის დიად იდეებს, ის მუდამ იბრძოდა ლენინის დროშის ქვეშ, ის მუდამ ბასრ იარაღს წარმოადგენდა ჩვენი პარტიის ხელში.

ჩვენი პრესა მუდამ იყო და არის და იქნება დაუნდობელი თვითკრიტიკის საუკეთესო საშუალება. თვითკრიტიკის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. თვითკრიტიკის გარეშე არ არსებობს და არ შეიძლება იარსებოს ჩვენმა ბოლშევიკურმა ბეჭდვითი სიტყვამ.

ამიტომ პრესის დღეს ჩვენ კვლავ მაღლა უნდა ავწიოთ თვითკრიტიკის დროშა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დაცვით, შინაარსით, სოციალისტური ფორმით ნაციონალური კულტურის განმტკიცების საფუძველზე ჩვენი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა კვლავინდებურად მაღლა დაიჭერს მარქსიზმ-ლენინიზმის, გამარჯვების მომხიბვლელ დიად დროშას.

**ვ. მაჭავარიანი**



# კრონეს ცირკიდან—გერმანიის დიქტატორად

სოციალურმა დემაგოგიამ უდიდესი როლი ითამაშა გერმანიის ნაციონალური პარტიის მოქცევაში სახელმწიფოს სათავეში.

შავ ჯვარს, გადატეხილი კიდეებით, (სვასტიკა), რომელიც დღეს ფაქტიურად გერმანიის სახელმწიფო ღერბად იქცა, ძლიერ ძვირე, თითქმის შეუმჩნეველი ადგილი ეჭირა უზარმაზარ წითელ ბაირაღზე, რომელმაც 1921 წლის თებერვლის დღეებში ჰიტლერის მცირერიცხოვანი მომხრეები ავ-



## ადოლფ ჰიტლერი

ტომობილებით დააქროლებდენ მიუნქენის ქუჩებში და თან ჰყრიდენ ფურცლებს—მოწოდებით მოსახლეობისადმი დასწრებოდენ „გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის“ კრებას მიუნქენის უდიდეს შენობაში—კრონეს ცირკში.

ხუთი ათასი კაცი შეგროვდა, მათში უცნობი ადოლფ ჰიტლერის მოსასმენად.

უცნაური იყო ამ ორატორის სიტყვები.

მან დახატა გერმანიის დაცემის და დაკნინების სურათი. სასტიკად გაჰკიცხა საზოგადოების ზედაფენის განცხრომით და ფუფუნებით ცხოვრება იმ დროს, როცა მილიონები შიმშილობენ. ის თავს დაესხა მარქსიზმს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის თეორიაა, არამედ მან მარქსიზმი გამოაცხადა საერთაშორისო კაპიტალის ინტერნაციონალურ იარაღად, რომლის საშუალებითაც გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა გერმანია ვერსალის ხელშეკრულებით შებოჭეს. ფინანსიური კაპიტალი ჰიტლერმა გამოაცხადა წურბელად, რომელიც სისხლს სწოვს მასებს.

ამ იერიშებმა ბურჟუაზიისა და კაპიტალის წინააღმდეგ ცოტა არ იყოს დააფრთხო ცირკში თავმოყრილი წვრილბურჟუაზიული საზოგადოება, მაგრამ იგი ჩქარა დამშვიდდა, როცა ჰიტლერი თავს დაესხა კომუნისტებს, რომელთაც არ სწამთ ღმერთი, არც სამშობლო და არც „პატიოსნათ შეძენილი“ საკუთრება. მან მოუწოდა გერმანიის ძლევამოსილებისა და დიადი სახელის აღდგენისაკენ, ვერსალის ბორკილების დამსხვრევისაკენ.

დამსწრეები კმაყოფილი დარჩენ. ჰიტლერმა შესძლო მათი სულიერი განწყობილებისა და ზრახვების დაკმაყოფილება, სიტყვებით მაინც.

პირველი დებიუტი კარგად ჩატარდა.

⁂

ჰიტლერის ორგანიზაცია იმ წლებში არ ყოფილა ერთად-ერთი ფანტასტიური ორგანიზაცია. გერმანია სავსე იყო სხვადასხვა კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციებით, რომელთა დახმარებით ნოსკე და სხ. სოციალ-დემოკრატი პოლიციელები ახერხებდენ მუშათა რევოლიუციონური გამოსვლების ჩაქრობას. მაგრამ არც მთავრობის განკარგულებაში არსებული შეიარაღებული ძალები და მით უფრო — არც ეს კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციები საკმაოდ ძლიერი არ იყვნენ იმისათვის, რომ საბოლოოდ დაეთურგნათ მუშათა კლასი, ძეებორკათ ისე, რომ წაერთმიათ ბრძოლის ყოველგვარი შესაძლებლობა. ამისათვის, კონტრრევოლიუციონურ ბანდებს აკლდათ დასაყრდენი მასებში. ჰიტლერმა, რომელსაც მისი სიტყვით, პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა მიაღებინა უდიდესმა სიძულვილმა რევოლიუციისადმი, მიზნად დაისახა ამ მასების დაპყრობა კონტრ-რევოლიუციისათვის, დაპყრობა სოციალური დემაგოგიით, ანტისემიტური და ნაციონალისტური ლოზუნგებით.

„ჩვენ მოვითხოვთ ყველა არა შრომითი შემოსავლის მოსპობას. ყოველგვარი პირადი გამდიდრება ომის შედეგად დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ხალხის წინაშე. ჩვენ მოვითხოვთ ყოველგვარი სამხედრო მოგების კონფისკაციას.

ჩვენ მოვითხოვთ ყველა უკვე განსაზოგადოებული საწარმოების (ტრესტების) გადასვლას სახელმწ. ხელში

ჩვენ მოვითხოვთ ულმობელ ბრძოლას იმათთან, ვინც თავისი საქმიანობით ვნებს საერთო ინტერესებს. არამზადა დამნაშავენი ხალხის წინაშე, მევახშეები, სპეკულიანტები და სხვ. სიკვდილით უნდა დაისაჯონ, გარეშე სარწმუნეობისა და რასისა.

ჩვენ მოვითხოვთ მიწის ისეთ რეფორმას, რომელიც შეეფარდება ჩვენს ნაციონალურ საჭიროებას, კანონის გამოცემას მიწის უსასყიდლოთ ექსპროპრიაციის შესახებ საერთო სასარგებლო მიზნებისათვის, პროცენტების მოსპობას საიპოთეკო ვალებისათვის და მიწის ყოველგვარი სპეკულიაციის მოსპობას.

## ეწყობიან მონარქისტულ ყაიდაზე



ბერლინის მაგისტრატურის შენობაში გამოჰკიდეს პრუსიის მეფეების პორტრეტები, რომლებიც მოხსნილი იყო 1918 წ. ნოემბრის რევოლიუციის შემდეგ.

## ებრაელების რბევა და ბოიკოტი გერმანიაში




გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთავრობა არის არა მარტო მუშათა კლასის სისხლში ჩაღრჩობის, არამედ აგრეთვე ზოოლოგიური შოვინიზმის მთავრობაც. ებრაელი მოქალაქეების დევნა ჰიტლერის გერმენიაში მოგვაგონებს ესპანეთის ინკვიზიციის მიერ ებრაელთა დევნის შავ ფურცლებს. მართალია, ჰიტლერი ევროპის და ამერიკის კაპიტალისტური წრეების ზეგავლენით იძულებული გახდა შეეწყვიტა ებრაელ ვაჭრების ბოიკოტი, მაგრამ ებრაელ მოსამსახურეების, თავისუფალი პროფესიის პირების და მოსწავლე ახალგაზრდობის დევნა ძველებურად გრძელდება.

**სურათზე**—ანტიებრაული ბოიკოტის დღეები ბერლინში: ნაციონალ-სოციალისტი ებრაელის მაღაზიასთან. პლაკატზე წარწერა: „გერმანელებო! დაიცავით თავი. არ იყიდოთ ებრაელებისაგან“.

ჩვენ მოვითხოვთ ჯანსაღი საშუალო წოდების შექმნას და მის დაცვას, მსხვილი უნივერსალური მაღაზიების დაუყოვნებლივ მუნიციპალიზაციას და მათ იაფ ფასებში იჯარით გადაცემას წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის“.

ასეთია ზოგიერთი მოთხოვნილებები, რომელიც ამ ათიოდე წლის წინად წამოაყენა ჰიტლერმა ფართო მასების გასაყოლიებლად.

თავის „ეკონომიურ პროგრამას“ ჰიტლერმა მოხერხებულად დაუკავშირა ანტი-სემიტური ლოზუნგები. გერმანიის დამონება და დაკნინებას ჰიტლერიზმი ხსნის „ებრაელთა შეთქმულებით“, მათი მისწრაფებით „მსოფლიო ბატონობისაკენ“. „ვინ გავიწროებთ თქვენ, ვინ ითვისებს თქვენი შრომის ნაყოფს?!“—ეკითხება ჰიტლერი გლეხობას და თვითონვე უპასუხებს: „პურისა და პირუტყვის შემსყიდველები, რომლებიც თქვენ გაძლევენ გროშებს, შემდეგ კი დიდ ძალ თანხებს იძენენ თქვენს პურზე და ხორცზე. ვინ არიან ისინი?—ებრაელები“.

გლეხობას აქ იტაცებს ჰიტლერის არა ანტი-სემიტური ლოზუნგი, არამედ ჰიტლერის დაპირება შემსყიდველებთან, სოფლის წუწ...ელებთან ბრძოლის შესახებ. ეს ნიშ-

ნავდა ასი ათასების გადასვლას ჰიტლერიზმის მხარეზე.

ნაციონალ-სოციალისტებმა გააჩაღეს ფართო მუშაობა, კრებები, მოხსენებები, მანიფესტები—მისდევდენ ერთი მეორეს. და ამ კრებებზე მთავარი ადგილი ნაციონალ-სოციალისტურ აგიტატორების გამოსვლებში ეკავა არა თეორიულ მსჯელობას, არამედ დემაგოგიურ ლოზუნგებს, ვნებათა ღელვის გამოწვევას, წვრილბურჟუაზიის მასების მდაბალი გრძნობების გაღვივებას.

ტყუილად კი არ აძლევდა ჰიტლერი წინადადებას თავის მომხრეებს ყოველგვარი კრებები მოეწყოთ სალამოთი, რადგან „სალამოთი უფრო ადვილია მასების მოქცევა თავისი გავლენის ქვეშ, მისი ნებისყოფა, სხვისი გავლენისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი სუსტდება“.

და კიდევ ერთი რამ.

ჰიტლერიზმი ვერ ითმენდა და ვერ ითმენს ოპონენტებს. ჰიტლერმა შექმნა სპეციალური ჯგუფები თავზე ხელაღებულ მკლავმაგარ თავის მომხრეებიდან, რომლებიც ყველას, ვინც კი გაბედავდა ხმის ამოღებას, ნაციონალ-სოციალისტურ ორატორის წინააღმდეგ, თავპირდამტვრეულს და დასისხლიანებულს აგდებდენ გარეთ. ამ ჯგუფებმა შემდეგ სახელი გაითქვეს შეიარაღებული ნადირობით კომუნისტ-აქტივისტებზე და რევოლიუციონურ მუშებზე. ამ ჯგუფებიდან შემდეგ იშვა ნაციონალ-სოციალისტების მოიერიშე რაზმები.

⁂

მაგრამ ყოველი დიდი საქმე მოითხოვს ფულებს. ამ ფულების მოცემა არ შეეძლო წვრილ ვაჭრებს, ხელოსნებს და სხ. წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს, რომლებიც თავს იყრიდენ ჰიტლერის დროშის ქვეშ. ეს ფულები ჰქონდა მსხვილ სამრეწველო და ფინანსიურ მაგნატებს. მაგრამ ისინი ეჭვის თვალით უყურებდენ ჰიტლერს, ზოგ მათგანს სერიოზულად მიაჩნდა ჰიტლერის სოციალური დემაგოგია. ჰიტლერს და მის მომხრეებს დიდი ბრძოლა და ენერგიის დახარჯვა მოუხდათ ამ უნდობლობის დასაძლევად. საჭირო შეიქნა ნაციონალ-სოციალისტური სოციალურ-ეკონომიური პროგრამის შეკრეჭა და შელამაზება ისე, რომ მას აღარ დაეშინებია კაპიტალისტები და მემამულეები.

1928 წ. აპრილში ჰიტლერმა ასე განმარტა თავისი პროგრამის მე-17 პარაგრაფი რომელიც მიწათმფლობელობის ექსპროპრიაციას მოითხოვდა:

„ვინაიდან ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მუშათა პარტია კერძო საკუთრების საფუძველზე სდგას, თავისთავად ცხადია, რომ გამოთქმა „უსასყ. ექსპროპრიაცია“ ქმნის მხოლოდ იურიდიულ შესაძლებლობას იმ მიწების ჩამორთმევისა, რომლებიც უკანონოდ იქნა შეძენილი ან რომლებსაც ცუდათ უვლიან საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით. ამრიგად იგი პირველ რიგში მიმართულია ებრაელთა სპეკულიანტურ სამიწადმომქმედო საზოგადოებების წინააღმდეგ“.

გერმანიის შინაური მდგომარეობის გამწვავებამ, კომპარტიის გაძლიერებამ, რევოლიუციონური განწყობილების ზრდამ მასებში აიძულა გერმანიის ნამდვილი ბატონ-პატრონები მეტის ყურადღებით მოპყრობოდენ ნაცონალურ-სოციალისტებს, რომლის მოიერიშე რაზმები ცერგიბელ-ზევერინგის პოლიციაზე უკეთ არბევდენ მუშათა ორგანიზაციებს და კრებებს. ნაციონალ სოციალისტურ კასებში დაიწყო ოქროს დენამ კაპიტალისტების სეიფებიდან.

ამავე დროს ნაციონალ-სოციალისტების ლიდერები შეეცადენ გაებათ ძაფები საერთაშორისო კონტრევოლიუციის სულისჩამდგმელებთან, ანტი-საბჭოთა ლაშქრობათა ორგანიზატორებთან. 1924 წ. ჰიტლერი სწერდა:

**„არა დასავლეთის ორიენტაცია, არა აღმოსავლეთის ორიენტაცია უნდა წა**რმოადგენდეს ჩვენს საგარეო პოლიტიკის მიზანს, არამედ აღმოსავლეთის პოლიტიკა ჩვენი გერმანელი ხალხისათვის საჭირო მიწების დაპყრობის მნიშვნელობით.



**არ იფიქროს მკითხველმა, რომ ეს სურათი გადაღებულია ვილჰელმ მეორის მეფობის დროს. ვილჰელმის ოფიცრობა ჯერ კიდევ სოც.-დემ. მმართველების დროსაც მშვენივრად გრძნობდა თავს. შემდეგ კი—რეაქციის გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო გათამამდა და არც მალავდა თავის მონარქისტულ გრძნობებს. ამჟამად ვილჰელმის გენერლები და სხვა მაღალი ოფიცრობა დღე-დღეზე მოელის იმპერიის სრულ რესტავრაციას და მის მოლოდინში აწყობს ალლუმებს და გამოსვლებს, რომლებიც არავითარ ეჭვს არ სტოვებენ მათ ნამდვილ განზრახვებში.**

**სურათზე—რეიხსვერის ოფიცრები რეიხსტაგის გახსნის დღეს პოსტდამში გამართულ ალლუმზე.**

ეს „აღმოსავლეთის მიწები“, რომლებსაც ჰიტლერიზმი უპირებდა დაპყრობას „ჩვენი გერმანელი ხალხისათვის“, ძევს საბჭოთა კავშირში, ეს ცხადია თვით ჰიტლერის წიგნიდან, საიდანაც ეს ციტატაა ამოღებული („იზვ.“ № 78) და განსაკუთრებით საერთაშორისო პოლიტიკის დარგში ნაციონალ-სოციალისტების თეორეტიკოსის როზენბერგის ნაწერებიდან და გამოსვლებიდან:

**„თუ ჩვენ შევიგნეთ, რომ პოლონეთის სახელმწიფოს მოსპობა წარმოადგენს გერმანიის პირველ აუცილებლობას, კავშირი კიევსა და ბერლინს შორის, საერთო საზღვრის შექმნა („დამოუკიდებელ“ გეტ.მანის უკრაინასთან.—ვ. კ.) ხდება გერმანიის მომავალი პოლიტიკის სახალხო და სახელმწიფო აუცილებლობათ“.**

ასე სწერდა როზენბერგი 1927 წ. და ამასვე იმეორებდა 1932 წ.

ანტისაბჭოთა შეთქმულებების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა—დეტერდინგმა მშვენივრად შეითვისა ნაციონალ-სოციალისტების ანტისაბჭოთა გეგმები, რომლებიც ასე ეთანხმებოდნენ საბჭოთა კავშირის დაქუცმაცების, კავკასიის ჩამოშორების გეგმებს, რომლებსაც მის კაბინეტში ადგენენ.

ნაციონალ-სოციალისტებმა მიიღეს უხვი სუბსიდიები დეტერდინგისაგან.

„ფულების კარგად გამოყენების სრულ გარანტიას თქვენ გაძლევთ ჩვენი მოძრაობის პატიოსანი ხასიათი“-ო,

სწერდნენ თავის მიმართვებში ცალკე კაპიტალისტებისადმი ბანკირებისადმი სუბსიდიის შესახებ ნაციონალ-სოციალისტები.

ისინი მართლა პატიოსნად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს დეტერდინგისაგან მიღებულ მილიონების სამაგიეროდ.

დეტერდინგი უსათუოდ კმაყოფილია ნაც.-სოციალისტური ბანდების თავდასხმებით საბჭოთა ნავთის პროდუქტების ბაზებზე.

⁂

დღეს ნაციონალ-სოციალისტები სახელმწიფოს სათავეში არიან. კრონის ცირკიდან ისინი ჩქარა მივიდნენ გერმანიის დიქტატორი პარტიის მდგომარეობამდე.

სად არის ჰიტლერის მომხრეთა დაპირებები?

„ცირკის პლაკატზე ყოველგვარი შეუძლებელი რამეებია დახატული, რომ ხალხი მიიზიდონ ცირკში, მაგრამ ის, რასაც იქ მიაწვდიან, საბოლოო ანგარიშით დააკმაყოფილებს მას“,—განაცხადა თავის დროზე ჰიტლერმა ნაციონალ-სოციალისტების სოციალური დემაგოგიით დაშინებული ერთ-ერთი კაპიტალისტის დასამშვიდებლად.

ამ განცხადებით ჰიტლერმა სთქვა, რომ ის სრულიადაც არ აპირებს თავისი „რადიკალური“ მოთხოვნების განხორციელებას, და ეს ჰიტლერიზმმა სავსებით დაამტკიცა. სად არის ჩამორთმეული მიწები, მუნიციპალიზაციაქმნილი უნივერსალური მაღაზიები, სოციალიზირებული ბანკები, კონფისკაციაქმნილი მოგებანი?— ფაშიზმს ხელიც არ უხლია მისთვის. მონოპოლისტურმა კაპიტალმა შესძლო ფაშიზმის სავსებით დამორჩილება თავისი მიზნებისა და ამოცანებისათვის. მუშათა კლასის დარბევა და ყველა მისი ორგანიზაციების, პირველ რიგში კი კომუნისტური პარტიის მოსპობა, გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინება, რეაქციონური სამეურნეო პოლიტიკის ვატარება მონოპოლისტური კაპიტალის ვიწრო წრეების ინტერესებისათვის—აი ჰიტლერი ჰუგენბერგ-პაპენის მთავრობის ამოცანა.

აშკარა ფაშისტური რეჟიმის შექმნა გერმანიაში შინაური მდგომარეობის გამწვავების და გართულების შედეგია. გერმანიის ბურჟუაზიისათვის შეუძლებელი შეიქნა თავის შინაგან წინააღმდეგობათა და მასების რევოლიუციონური განწყობილების დაძლევა ჩვეულებრივ მეთოდებით. მან მხსნელად მოიხმო ფაშიზმი.

ხ. ფ.

# კოტე მარჯანიშვილი



ჩვენს პრესაში ბევრი დაწერილა მარჯანიშვილის მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ მისი მნიშვნელობა ქართულ სცენისათვის ვერ არის საკმაოდ შესწავლილი.

მარჯანიშვილის მოღვაწეობა საქართველოში იწყება 1922 წლიდან, როდესაც თეატრალურ წრეებში სრულიად ბუნებრივათ დაისვა საკითხი ქართული თეატრის დაკეტვისა. მიზეზი კი ის იყო, რომ თეატრს არ გააჩნდა ხელმძღვანელი, რომელსაც შესძლებოდა თეატრის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, თუმცა ნიჭიერი მუშაკნი ბლომათ მოიძებნებოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. იმ დროის თეატრის რეჟისორები ბრმად იღებდენ რუსეთის დიდი თეატრების დადგმებს. ტრადიციებს. ყოველივე ეს ხდება კონტროლის და ადგილობრივ პირობებთან შეფარდების გარეშე. არ იყო ცდა ახალი ფორმების ძიებისა. ხელმძღვანელიც და მსახიობნიც საჭიროებდნენ სკოლას. სამართლიანი იყო მოსაზრება, რომელსაც აყენებდნენ ზოგიერთი მაშინდელი რეჟისორები: ქართული თეატრი უნდა დაიკეტოს რამოდენიმე წლით და დაარსდეს სტუდიათ.

აუდიტორიის მოთხოვნამ გაუსწრო წინ თეატრს, ის უყენებდა მას დიდ მოთხოვნილებებს, თეატრს კი არ ჰქონდა შესაძლებლობა ოდნავადაც მაინც დაეკმაყოფილებია იგი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მარჯანიშვილი, მან იდო თავის-თავზედ ქართული თეატრის ბედ-იღბალი. 1925 წ. 25 ნოემბერს იდგმება „ცხვრის წყარო“.

ეს დატა გარდაიქცა ქართული თეატრისათვის ისტორიულ დღეთ. ამ დღიდან ხელისუფლებამაც და თეატრმაც თამამად ჩააბარეს მარჯანიშვილს ქართული თეატრის ბედ-იღბალი და მანაც ჩასჭიდა მას ხელი, შეუდგა მის ძირფესვიანათ რეკონსტრუქციას. უპირველეს ყოვლისა, მან შემოიკრიბა თავის ირგვლივ ახალგაზრდობა, რადგან იცოდა, რომ ძალა მათშია და მხოლოდ მათი საშუალებით შეძლება თამამად და შეუბრალებლივ დამსხვრევა ყოველივე ძველისა, რაც ხელს უშლიდა და აბრკოლებდა თეატრის გადახალისება—წინსვლას. ათი წელი მარჯანიშვილის თეატრში მუშაობისა ეს არის ოქროს ხანა ქართული თეატრალური ხელოვნებისა. რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა შესძინა მან ქართულ კულტურას. დრამატურგიას დაეტყო გამოცოცხლება, დაიწერა მთელი რიგი ნიჭიერი პიესები, რომელნიც დღემდის ამშვენებენ ჩვენს სცენას. მხატვრები და მუსიკოსები ჩაებნენ სათეატრო მუშაობაში. პრესამ დიდი ადგილი დაუთმო თეატრალურ კრიტიკას. ამ დროს მარჯანიშვილი დაუღალავათ განაგრძობდა მუშაობას. თეატრალური ხელოვნების ყოველ ელემენტს მიენიჭა სათანადო ადგილი თეატრში.

იშვიათი გემოვნებით და ოსტატობით იყო მოცემული ყველაფერი მარჯანიშვილის წარმოდგენაში. არაფერი ზედმეტი, არაფერი ხელის შემშლელი: ყველაფერი და ყოველივე იმისთვის, რომ აკტიორის თამაშს შეუწყოს ხელი. მარჯანიშვილმა ზედმიწევნით იცოდა აქტიორის ფსიქოლოგია, ის ყველას თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე პიესაში. მარჯანიშვილი სასტიკათ სდევნიდა იმ მსახიობთ, რომელთაც უყვარდათ როლიდან „ამოხტომა“, სოლისტობა. მას არ სწამდა დიდი და პატარა როლი, აკტიორობაც ის არის, რომ უმნიშვნელო როლიდან შეჰქმნა დიდი სახე.

მარჯანიშვილმა მიაღწია იმას, რომ ქართველი მსახიობი გადააქცია პროფესიონალათ. ამავე დროს საგრძნობლად აიწია დონე ჩვენი აუდიტორიისა, რომელიც თეატრთან ერთად იზრდებოდა. ქართული თეატრი მარჯანიშვილის მეთაურობით გარდაიქცა სკოლათ არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვა არა ქართულ თეატრებისათვის.

დღეს ყველა დიდსა თუ პატარა თეატრს ჩვენში აჩნევია მარჯანიშვილის გავლენის ხელი, პირველათ მან გაბედა და გაიყვანა საქართველოს საზღვრებიდან ქართული თეატრი საგასტროლოდ მოსკოვში. ცდა გამარჯვებით დასრულდა. დღეს კი ქართული თეატრისათვის გზა ხსნილია ყველგან, მან მოიპოვა სრული მოქალაქეობა, და სრული უფლება აქვს თამამად ამოუდგეს გვერდში მსოფლიოს ყველა თეატრებს. ამავე დროს მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანიშვილი არ კმაყოფილდება მარტო ქართული თეატრით, ის მუშაობს ოპერაში, რუსულ დრამაში, კინოში, ოპერეტაში, აწყობს და ხელმძღვანელობს გამოფენებს, დღესასწაულებს და სხვ. მთელი მისი მოღვაწეობის ხანაში ის ტონის მიმცემია თეატრალური ხელოვნების. ამავე დროს მარჯანიშვილი მოქალაქეა. ის გრძნობს ახალი დროის მაჯის ცემას. რევოლუცია მან იწამა პირველ დღიდანვე და თავის პირდაპირ მოვალეობად 1917 წ. ასრულებს მთელ რიგ ადმინისტრატიულ მოვალეობათ სათეატრო ფრონტზე. თეთრგვარდიელებს უკრაინაში ის შეტანილი ჰყავთ დასასჯელთა სიაში მაგრამ მას სხვა მომუშავეებთან ერთად გადამალავენ კიევიდან. 1919 წელში ლენინგრადში ის აწყობს უზარმაზარ ზეიმს—სანახაობას კომინტერნის კონგრესისათვის, რომელშიც 75.000 მეტი კაცი მონაწილეობდა. 1924 წელში სამგლოვიარო დღეები თბილისში ლენინის გარდაცვალების გამო, ვის არ ახსოვს ის გრანდიოზული გლოვის სანახაობა, რომელიც მარჯანიშვილმა შექმნა იმ დღეებში. მხოლოდ იმის გენიალურ ბუნებას ხელოვანს შეეძლო შეგრძნება ისეთი დიდი მოვლენისა, როგორც ლენინის სიკვდილი იყო და მისი გადმოცემა.

მარჯანიშვილისათვის დაღალვა არ არსებობდა და თუ დაისვენებდა აკად ხდებოდა ხოლმე. მუშაობის დროს მან არ იცოდა დაზოგვა მომუშავის, მაგრამ არასოდეს დიდხანს არ გასტანდა მისი გულმოსულობა.

უკანასკნელ ხანებში ის საგრძნობლად მოხუცდა, მაგრამ ჩვეული ენტუზიაზმით განაგრძობდა მუშაობას, ქმნიდა ახალ და ახალ შედევრებს, ზრდიდა და აწინაურებდა ახალ ნიჭიერ ახალგაზრდებს.

დღეს მან დაასრულა თავის ცხოვრების გზა, მაგრამ მოვალეობა ქართული თეატრის წინაშე მან პირნათლად მოიხადა, გადაჭარბებით. ქართული თეატრი მან საბოლოოთ გამოიყვანა ჩიხიდან. ქართულ თეატრს მან დაუტოვა დიდი კულტურა და მომავალ მესვეურთა მოვალეობაა—მტკიცეთ განაგრძონ სვლა უკვე გათელილ გზაზე და შენახვა იმისა, რაც უანდერძა მარჯანიშვილმა მათ.

**დ. ანთაძე.**

# ჩირაღდანივით

## (კოტე მარჯანიშვილს)

ჩირაღდანივით
ანთებული ხელოვნებაში,
მეტეორივით
მოსწყდი სიცოცხლეს მოულოდნელად,
და შენს სიცოცხლეს,
გატარებულს გულის გზნებაში,
სიკვდილის კალთა
დაეფარა ცივად და ბნელად.
და შენ, ვინც გუშინ
აცოცხლებდი დაფერფლილ საგნებს,
მზის შადრევანად
ფიქრს უნთებდი ათი ათასებს,
დღეს თვითონა ხარ
დაფერფლილი, დღეს თვით არ გაგზნებს
ის მღელვარება,
რაც შენ უხვად აჩუქე მასებს.
იყავ მებრძოლი
შემომქმედი: ძველ წყობილებას
ყუმბარასავით
გადაუგდე აზრი ახალი—
და გაბძღარ კლასის
ჰკუამოკლე კმაყოფილებას—
შენ მეამბოხე
ხელოვნება რისხვად ახალე!.
და რაც იყო ძველი,
რაც კი იყო ჰკვის გამყინავი,
რაც კი უშლიდა
წინსვლისათვის გზას—მშრომელ კლასსა,
მან თვის ბორკილთან
ერთად მოსპო, დაამხო, დასცა,
თავისუფლების
მზე ამოხდა როცა ბრწყინავი,
როცა ოქტომბრის
ტრიბუნიდან—ძლევამოსილად
გამოაცხადა
მოზეიმე საბჭოთა მხარემ:
—„სიტყვა ეძლევა
ხელოვნების ალმაშენებელს,
შრომის, დიდების,
გამარჯვების მზით ნაელვარებს“—
შენ ჩასდექ
იმათ პირველ რიგში, ვინც პირველობა
ნამდვილი ბრძოლით
ნამდვილი შრომით დაიმსახურა,
ვინც შეუერთა
ხელოვნებას თვის გულწრფელობა
და ის მშრომელ კლასს,
მის ზრდის საქმეს სძღვნა სამსახურად!
ქვეყნად არ ნახულ
მშენებლობის წლების ნაბიჯით,
მაღლა აწეულ
ბაირაღებს გამარჯვებისას
შენ მიჰყვებოდი
ანთებული მაღალი ნიჭით
და ყველას გულში
სთესდი გრძნობას საოცრებისას!
და აი, როცა
მწვერვალებთან მხარგანასწორი
გამარჯვებების
სიხარულით ივსებდი კალთას,—
დაეცი უცბად,
როგორც მუხა — მეხგანაწონი,
და შენს მგზნებარ სულს
შემოეჭდო სიკვდილის სალტა...
მაგრამ სიკვდილსაც
ხომ აქვს თვისი ლამაზი მხარე:
და სამაყოც
შენს სიკვდილში სწორედ ის არი,
რომ შენ დაეცი
ვით მებრძოლი და არ დახარე
დროშა დიდების
და გმირობის დროშა მზისდარი!
ჩირაღდანივით
ანთებული ხელოვნებაში,
ჩირაღდანივით
ჩაჰქერ უცბად, ფერფლად იქეცი,—
და სამუდამოთ
დაგვიტოვე ფიქრთა გზნებაში
ძვირფასი ხსოვნის
მწუხარება უსასტიკესი!

**ს. ფაშალიშვილი**

# სოცშეჯიბრების 4 წლისთავზე



ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში (თბილისი) სოცშეჯიბრების 4 წლის თავთან დაკავშირებით დაჯილდოვებული იქნა პირველი მაისის სახელობის ამხ. მამედჯანოვის ბრიგადა, რომელმაც გეგმა 50 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა. სურათზე — ბრიგადა ადგენს სოცშეჯიბრების პირობებს მე-2 კვარტალისათვის.

# მოღალატეობის დოკუმენტები

ვინ მოუმზადა ნიადაგი ჰიტლერის დიქტატურას? როგორ მოხდა, რომ გერმანიის მუშათა კლასმა, რომელმაც 1918 წ. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება თანდათანობით დაკარგა ეს ძალაუფლება და დღეს ფაშისტური ბანდების უღელ ქვეშ გმინავს? დღეს ბურჟუა ზიული პრესაც კი აღიარებს, რომ მთავარი ოამსახურება ამაში მიუძღვის გერმანიის სოციალ-ფაშისტებს, რომლებმაც უღალატეს მუშათა კლასს, რომელმაც ყველა ზომები მიიღეს იმისათვის, რომ გადაერჩინათ გერმანიის კაპიტალიზმი. მათი „ნაკლები ბოროტების“ პოლიტიკის წყალობით ბურჟუაზია ამაგრებდა თავისპოზიციებს, ანიარაღებდა პროლეტარიატს. ფაშისტები ძალაუფლების სათავეში მივიდნენ ს.-დემოკრატიის მხრებზე. ქვემოთმოყვანილი დოკუმენტები წარმოადგენენ ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას. ეს დოკუმენტები იწყება 1914 წ. აგვისტოს დღეებიდან. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობა დაიწყო მხოლოდ 1914 წლის ომის დასაწყისში. ამ დღეს დაწყებული აშკარა მოღალატური ტაქტიკის სათავეუნდა ვეძიოთ იმ შემარიგებლურ დამოკიდებულებაში მარქსიზმის რევიზიის ცდებისადმი, რომელიც თავის დროზე გამოიჩინეს გერმანიის სოც.-დემოკრატიის ლიდერებმა (კაუცკი და სხვ.), რასაც თავიდანვე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჭეშმარიტმა რევოლიუციონერმა და მარქსისტმა, პროლეტარიატის უდიდესმა მასწავლებელმა ვ. ი. ლენინმა უნდა ვეძიოთ სოციალ-დემოკრატიისზედა ფენების შეზრდაში ვილჰელმის იმპერიის სახელმწიფო და სამეურნეო აპარატთან. ცხადია, ქვემოთმოყვანილი დოკუმენტები ოდნავადაც ვერ ამოსწურავენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობის ყველა მხარეებს, მაგრამ ამ ნაწილობ-რივი სახითაც ეს დოკუმენტები, ვფიქრობთ, არ იქნება ინტერესს მოკლებული.

**რედაქცია**




ეს არის 1914—18 წ.წ. ომის სამხედრო პლაკატი, რომელზედაც ვილჰელმ მე-2-ეს პრინცებთან და შავრაზმელ გენერლებთან ერთად მხარს უმშვენებენ სოციალ - გამყიდველები ებერტი, შეიდემანი, ნოსკე, მიულერი, ველსი და სხვ.

ახლა ვილჰელმ მეორეს მსახურები გადაიქცნენ ჰიტლერის მოკავშირეებად. „მესამე იმპერიის“ ორგანიზატორთა თაიგულში ჰიტლერ-გერინგს გვერდს დაუმშვენებენ კაუცკი, ველსი, ლეიპარტი და სხვ. მოღალატეები მხოლოდ განაგრძობენ ძველ გზას.

## „ჩვენ არ დავტოვებთ სამშობლოს ბედის ანაბარა“.

„საფრთხის მომენტში ჩვენ არ დავტოვებთ სამშობლოს ბედის ანაბარა.

...გამოვდივართ რა ამ პრინციპებიდან ჩვენ ხმას ვაძლევთ სამხედრო კრედიტებს“.

(გერმანიის რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციის დეკლარაციიდან, 1914 წ. 4 აგვისტო).

## სოციალ - დემოკრატია იქცევა ისე, როგორც „შეჭფერის ყოველ გერმანელს“

„სარწმუნო ცნობების მიხედვით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს მტკიცე განზრახვა მოიქცეს ისე, როგორც შეჰფერის ყოველ გერმანელს აწლანდელ მძიმე პირობებში. მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაცნობოთ ეს თქვენ, რათა სარდლებმა მხედველობაში მიიღონ ეს თავის ღონისძიებათა გატარების დროს“.

(გერმანიის სამხედრო მინისტრის ცნობა № 64, რომელიც დაეგზავნა ჯარების სარდლებს 1914 წ. 31 ივლისს).

## ს.-დ. მხარს უჭერს ანექსიების პოლიტიკას

„თუ აღმოსავლეთიდან გერმანიის მართლა უკეთ დაცვის მიზნით მოითხოვენ ნარევის ხაზის ანექსიას, საეჭვოა რომელიმე გერმანელმა პროტესტი განაცხადოს ამის წინააღმდეგ“.

(ლანდსბერგის განცხადება რეიხსტაგში 1916 წ.).

## სოციალ - დემოკრატები ჯაშუშების როლში

„კერძო პირმა, გვარათ ფატერმა, რომელიც ცხოვრობს აქ შტორხშტრასეზე სახლი № 17, ამა თვის 5 რიცხვში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფუნქციონერების ერთ-ერთ სხდომაზე გაავრცელა 4 თანდართული პროკლამაცია, რომელიც მან დაკეცილი სახით გადასცა დამსწრე ფუნქციონერებს და დასდო დაუკავებელ ადგილებზე“.

(გერმანიის ს.-დ. პარტიის მაგდებურგის კომიტეტის მდივნის გოლცაპფელის მიერ მაგდებურგის პოლიციის უფროსისათვის წარდგენილ დაბეზღებიდან).

## რეფორმისტული პროფკავშირები — კლასობრივი ზავის სადარაჯოზე

„ჩვენ არ ვფიქრობთ ხელი გაზლოთ თქვენ, ვინაიდან მოხარული ვართ, რომ არსებობენ მუშათა კლასის უდიდესი ორგანიზაციები, რომლებზედაც მთავრობას შეუძლია დაყრდნობა“.

(ვილჰელმის მთავრობის პასუხი რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერების მიმართვაზე).

## სოციალ - მონარქისტები

— „არც ქვეყანაში და არც მის გარეთ ბალანიც კი არ ჩამოვარდებოდა მოვენცოლერნების თავიდან, რომლებიც წარმოშდ-

გუნდობდნენ, მაგრამ კი არ მართავდნენ. რომ „სახელითა ღვთისითა“ სისტემა და იუნკრული მედიდურობა გზაზე არ გადაედო ბებოდა ს.-დ. მოთხოვნილებებს, ვილჰელმ მეორე ახლაც ბერლინის სასახლეში იქნებოდა.

(შტამპფერი: „ჰერლიცის პროგრამის განმარტებები“, 1921 წ. სექტემბერი).

„სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ აწარმოებდა ანტიმონარქისტულ პროპაგანდას, არ ანვითარებდა დადებით რესპუბლიკანურ საქმიანობას, ვინაიდან განსაზღვრულ მომენტამდე ეს საკითხები ჩვენთვის მეორე ხარისხოვანი იყო.

სიცრუეა, თითქო სოციალ-დემოკრატიას სურდა ნოემბრის რევოლუცია ან მოამზადა იგი, — ეს არის ჩვენი მოწინააღმდეგეების სასაცილო, სულელური, სააგიტაციო სიცრუე“.

(შეიდემანი, 1922 წ. იანვარი).

## კერენსკი მადლობას უხდიდა გადადგომისათვის მიხეილ რომანოვს, კრისპინი — ვიურტემბერგის მეფეს

„დროებითი მთავრობა ხალხის სახელით მადლობას უხდის მეფეს იმისათვის, რომ ის ყველა თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობდა სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით და რომ მან თავის ნებაყოფილობითი გადადგომით გზა გაუხსნა თავისუფალ განვითარებას. ვიურტენბერგის ხალხი არასდროს არ დაივიწყებს, რომ მეფე თავისი მეუღლით თავის მოყვასთათდმი სიყვარულის საქმეში ყოველთვის გონიერად იქცეოდა და მზად იყო აღმოეჩინა დახმარება“.

(ვიურტენბერგის მთავრობის განცხადება, ხელმოწერილი ს.-დ. ბლოსის, გეიმანის ლინდემანის და კრისპინის მიერ, 1918 წ. 30 ნოემბერი).

## სოც.-დემ. ლიდერები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავიდან აეცილებიათ რევოლუცია

„ყველა, ვინც იმ მძიმე დღეებში, ჩემსავით, როგორც უმრავლესობის პარტიის კომისიის წევრი, დღეს დღეზე ატარებდა ამ პარტიის ბელადებთან, დაამოწმებს, თუ როგორ აუწერელ ღონისძიებებს მიმართავდნენ ებერტი და შეიდემანი, ლანდსბერგი და დავიდი, ზიუდეკუმი და ნოსკე, რომ თავიდან აეცილებიათ რევოლუცია. თუ როგორ ატარებდნენ ისინი უძილო ღამეებს, თავისი პარტიის თანამდებობის პირებთან თათბირში, რომ შეეკავებინათ ისინი რევოლუციისაგან“.

(დეპუტატ გოტჰეინის წერილიდან, 1922 წ. აგვისტო).

## სოც.-დემოკრატები მოუწოდებენ „წესრიგისაკენ“

„არ აჰყვეთ პატარა ჯგუფების და უცნობ წამქეზებლების მოწოდებებს. საქმე შეეხებათ თქვენ და თქვენ შვილებს. ამიტომ კიდევ ერთხელ: დაიცავით მთლიანობა, კეთილგონიერება, ორგანიზაციული დისციპლინა. არ გვინდა რუსული წესები! წინ, ერთ მთლიანად დარაზმული, დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ“!

(გერმანიის ს.-დ. ცეკას მოწოდებიდან, 1918 წ. 6 ნოემბერი).

## სოც.-დემოკრატები იცავენ კაპიტალისტურ მოგებას

„მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები ვერასოდეს ვერ იქნებიან სრულიად სახალხო ნებისყოფის ორგანოები. ნგრევა დაიწყება, თუ ვერ დავსძლიეთ უდისციპლინობა და კეთილგონიერების უქონლობა, რომელიც, სამწუხაროდ, ეუფლება მუშების მეტ ნაწილს... არ შეიძლება მოეთხოვოს მრეწველებს იმაზე მეტი ხელფასი, ვიდრე წარმოება ამზადებს ღირებულებას“.

(კოჰენ როისის სიტყვიდან საბჭოების 1-ლ ყრილობ. 1918 წ. 19 დეკემბერს).

## მოხმობა, რომელსაც შეგვიძლია დავუჯეროთ

„ლეგიენი და ნოსკე ჯერ კიდევ 1916 წ. იწყებენ მიცოცებას მრეწველებთან, როგორც სასურველი მოკავშირეები.

პროფკავშირების მემარჯვენე ლიდერები — ლეგიენში, ლეიპარტში, შლიკესა და კომპ. მრეწველებმა ჰპოვეს მოკავშირეები კაპიტალიზმის გადასარჩენად რევოლუციისაგან, რომელიც მას ემუქრებოდა. 1918 წ. 15 ნოემბერს, ექვსი დღის შემდეგ 9 ნოემბრიდან, რევოლუციის მეორე დღეს, მრეწველებსა და მემარჯვენე სოციალისტებს შორის დადებულ იქნა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ... ასე გაერთიანდნენ ოდესღაც ქრისტიანობის ბელადები და რომის მფლობელები, რომ ერთად ებატონებიათ ხალხზე, რომელიც მათ გასცენ“.

(არტურ კრისპანის — გერმანიის დამოუკ. სოც. პარტიის თავმჯდომარის სიტყვიდან 1914 წ. 29 ივლისს).

## რევოლუციის განიარაღება პირველ დღიდანვე

„§ 1. ვისაც სათანადო ნებართვის გარეშე მოეპოვება იარაღი, რომელიც არმიის ქონებას წარმოადგენს, მოვალეა იგი ჩააბაროს. იარაღის ტარების უფლება არა აქვს იმას, ვინც მთავრობის ნებართვის გარეშე შეიძინა იარაღი.

§2. ვისაც ვადის გასვლის შემდეგ უკანონოთ აღმოაჩნდება § 1-ში აღნიშნული საგნები, ის ხელისუფლების განკარგულების შეუსრულებლობისათვის დასჯილი იქნება დაპატიმრებით 5 წლამდე და დაჯარიმებით 100.000 მარკის ფარგლებში ან ერთერთით ამ სასჯელთაგან“.

(სახალხო რწმუნებულები. ებერტი, ჰააზე. ბერლინი. 1918 წ.14 დეკემბერი).

## წითელი გვარდია ზედმეტია

„იღებს რა მხედველობაში, რომ შექმნა განსაკუთრებული წითელი არმიისა სამოქალაქო ტანსაცმელში იმ სამხედრო რაზმების გვერდით, რომლებიც შესდგებიან ბერლინის გარნიზონის ჯარისკაცებიდან, წარმოადგენს გამოხატულებას, უნდობლობისა ჯარების რევოლუციონური საიმედოებისადმი... აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: წითელი გვარდიის შექმნა დროებით შესწყდეს“.

(მუშათა და ჯარისკაცთა საბჭ. აღმას კომი:რიხარდ მიულერი, მილვენბურგი).

## ნოსკე ტყუილად კი არ იღებს პენსიას ჰიტლერისაგან

„სისხლისმსმელი ძაღლი“

„მე ვიკისრე ეს, თუმცა ვიცოდი, რომ გერმანიის რევოლუციის მთელს ისტორიაში გამათრევენ „სისხლისმსმელი ძაღლის“ სახით. მე ეს სისხლიანი მუშაობა ჩავატარე მოვალეობის ღრმა შეგნებით. მე მაშინ ვუთხარი ჩემს თავს: ვინმემ ხომ უნდა აკეთოს ისტორია, მაგრამ ჩემთვის ნათელია, თუ რას ნიშნავს ეს — რომ მე გერმანიის რევოლუციაში უნდა გავიარო სისხლისმსმელი ძაღლის სახით“.

(ნოსკეს სიტყვიდან ვეიმარის ს.-დ. პარტყრილობაზე).

## „ფორვერტს“ მოუწოდებს სპარტაკელების მკვლელობისაკენ

„მრავალი ასეული მკვდარი რიგში აწყვია, პროლეტარებო!

კარლი, როზა, რადეკი და კომპანია, — მოკლულთა შორის არ არიან პროლეტარებო!“

(„ფორვერტს“, 1919 წ. 13 იანვარი).

## „დახვრეტილი იქნება დაუყოვნებლივ“

„ყველა, ვისაც მოუსწრებენ იარაღით ხელში მთავრობის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლს, დაუყოვნებლივ იქნება დახვრეტილი“.

## „მკვლელები მოითხოვენ ჯილდოს“

„ჩვენ გვინდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენთვის, სოციალისტებისათვის, დღემდე არ გადაუხდიათ მადლობა ბოლშევიზმის დამარცხებისათვის“.

(გერმან მიულლერის სიტყვიდან გერლიცის პარტიულ ყრილობაზე).

## ზევერინგი განაგრძობს ნოსკეს ტრადიციებს

„ზედმეტად ვთვლი ამ სახლში იმის მოგონებას, რომ 1919 წელს მე ჩემი ოფიციალური საქმიანობა დავიწყე ბრძოლით ჩვენი ხალხის მემარცხენეთა განწყობილ რადიკალური ელემენტების წინააღმდეგ, რომ მე ამ ბრძოლას განვაგრძობდი 1920 წელშიც და იმის მოგონებას, რომ ბრძოლა არეულობასთან შუა გერმანიაში არ ყოფილა მიმართული მემარჯვენეთა წინააღმდეგ“.

(პოლიციის მინისტრის ს.-დ. ზევერინგის განცხადებიდან პრუსიის ლანდტაგში).

## კაუცკი „ასწორებს“ მარქსს

„თავის ცნობილ წიგნში „სოციალ-დემოკრატიული პროგრამის კრიტიკისათვის“, მარქსი ამბობს:

„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის ძევს პერიოდი რევოლუციონური გადაქცევისა ერთის-მეორეთ. და ამას შეეფერება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდიც, რომლის დროსაც სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურა“.

ამჟამად, უკანასკნელი წლების გამოცდილების საფუძველზე, მთავრობის საკითხში ჩვენ ეს დებულება შეგვიძლია შევცვალოთ იმ მიმართულებით, რომ განვაცხადოთ:

„წმინდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ეპოქასა და დემოკრატიულ სახელმწიფოს წმინდა პროლეტარულ მიმართულებას შორის ძევს პერიოდი გადაქცევისა ერთის-მეორეთ. ამას შეეფერება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდიც, რომლის დროსაც, მთავრობა, როგორც წესი, დგება კოალიციონური მთავრობის საფუძველზე.

(კ. კაუცკი: „პროლეტარული რევოლუცია და მისი პროგრამა“. 1922 წ.).

## მუხლებზე სტინესის წინაშე

სოციალ-დემოკრატია ხელს აწერს კაპიტალისტ სტინესის სამეურნეო-პოლიტიკური პროგრამის ქვეშ

„მე უნდა მოგახსენოთ რომ მე ბატონ სტინნესს ვთვლი ჩვენი სამეურნეო ცხოვრების დიდ ფიგურად, რომ ბატონი სტინნესი გერმანიის სამეურნეო ცხოვრებაში მართლა არის ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანი, რომლის მიმართ ლანდტაგის ყველა ჯგუფები პატივისცემის გრძნობით არიან გამსჭვალული... ბატონებო, რამდენადაც საქმე შეეხება ბატონ სტინნესის სამეურნეო-პოლიტიკურ პროგრამას, მისი დიდი ნაწილის ქვეშ, ვფიქრობ, შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ“.

(ზევერინგის სიტყვიდან პრუსიის ლანდტაგში 1921 წ. 29 ნოემბერს).

## სოციალ-დემოკრატია იცავს სტინესს კომუნიზმისაგან

„ისინი (კომუნისტები. — რედ.) იბრძვიან სტინესის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ის არის არა მარტო ტრესტების პატრონი და ექსპლოატატორი, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ ის გზას უკაფავს სოციალისტურ იდეებს, ამიტომ გიჟი პოლიტიკოსები, კომუნისტები, ფიქრობენ რომ სოციალ-დემოკრატები ლალატობენ მუშებს სტინესთან“.

(„ფორვერტს“ ,1922 წ. 5 სექტ.)

## „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ თეორია

„მდიდარი მემკვიდრეობის“ მოტრფიალენი

„ჩვენ გვესაჭიროება ჯანღონით სავსე და არა გაძვალტყავებული, დეკადენტური კაპიტალიზმი, ვინაიდან მემკვიდრისათვის ძლიერ სასიამოვნოა, როცა მის მიერ მიღე-

მული მეჩკვიდრეობა, რაც შეიძლება მდიდარია“.

(ჰილფერდინგი, 1926 წ.)

### „სოციალ-დემოკრატია მოითხოვს კაპიტალიზმის გაჯანსაღებას“

სოციალ-დემოკრატია მოითხოვს „რეფორმებს, რომლებიც უჩვენებენ გზას უბადრუკი კაპიტალისტური მეურნეობიდან გეგმიანი ხელმძღვანელობისა და კონტროლისაკენ მეურნეობაზე“.

(ნაფტალი, „ფორვერტს“).

### ო. ბაუერი ადიდებს „ახალ კაპიტალიზმს“

„დადგა კაპიტალიზმის ახალი ეპოქა. ეს ახალი კაპიტალიზმი დაძლევს და ზედმეტად გახდის ყველაფერ იმას, რამაც ოდესღაც განსაზღვრა კაპიტალისტური მეურნეობის ანარქია; ის ახდენს საწარმოების რაციონალიზაციას, აწესრიგებს, წარმოებას, ის განსაზღვრავს ფასებს და ანაწილებს გასასაღებელ ბაზრებს და, შესაძლოა, ახლო ხანში ნედლეულის ბაზრებსაც“.

(ო. ბაუერი, 1930 წ.).

### ბირჟა კმაყოფილია სოციალ-დემოკრატებით

„სოციალ-დემოკრატიული ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებამ, რომ ისინი შეურიგდებიან ბრიუნინგის მთავრობას საუკეთესო გავლენა მოახდინა ბირჟის განწყობილებაზე“.

(„ბერლინერ ტაგებლატ“, 1931 წ. 3 ივნისი).

### სოც.-დემოკრატები! კაპიტალიზმის მკურნალების როლში

„ახლანდელი კრიზისი, მართალია სჭარბობს ყველა წინანდელ კრიზისებს თავისი სიღრმითა და მოცულობით, მაგრამ მაინც გვაქვს სერიოზული საფუძვლები ვიფიქროთ, კაპიტალისტური მეურნეობა იპოვის გამოსავალ გზებს. ჩვენ იძულებული ვართ ვიკისროთ როლი მკურნალის, რომელმაც უნდა უეჭიმოს კაპიტალიზმს“.

(ტარნოვის სიტყვიდან გერმანიის სოციალ-ფაშისტების ლეიპციგის ყრილობაზე, 1931 წ. ივნისი).

### „ნაკლები ბოროტების“ გზით ჰიტლერის დიქტატურისაკენ“

„ნაკლები ბოროტების“ ტაქტიკა „ეს არის ტაქტიკა ყველა ძალების კონცენტრაციისა (ხაზი კაუცკისაა, რედ.) დიდი ბოროტების წინაალმდეგ და ამავე დროს უპირატესობის მინიჭება „ნაკლები ბოროტებისათვის“.

(კაუცკი, 1931 წ.).

## და, ბოლოს

### „სოციალ - დემოკრატია უნდა შეეგუოს ფაშისტურ რეჟიმს“

„სოც.-დემოკრატია უნდა შეეგუოს ფაშისტურ რეჟიმს გერმანიაში. ის დამშვიდებით უნდა ელოდოს, სანამ არ მიიღებს გერმანიის ხალხის ხმების უმრავლესობას“.

(კაუცკი, 1933 წ. მარტი).

ალ. სულავა

# ფაშიზმი და მწერლობა

ფაშიზმი აშკარა და ველური ლაშქრობაა მუშათა კლასის წინაალმდეგ, აშკარა სისხლიანი სამოქალაქო ომია კომუნიზმის წინაალმდეგ. აქედან ცხადია— ფაშისტური ლიტერატურა ამ ბრძოლის იარაღი იქნება.

მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც ამჟამად მძვინვარებს ფაშიზმი, მიმდინარეობს ბურჟუაზიული ლიტერატურის ფაშიზაცია, ლიტერატურა ფაშიზმის ხელში ხდება საზიზღარი სოციალური დემაგოგიის იარაღად. იგი არის ფორმა ბურჟუაზიული აქტივიზაციისა და მუშათა კლასის თავდასხმისა, მაგრამ ამავე დროს სასიკვდილო განწირულებისა და კაპიტალისტური გახრწნის გამომხატველი.

ამიტომ იგი არ შეიძლება არ იყოს გაბოროტებული ზრახვების, კაპიტალისტური ბარბაროსობის და გამხეცების შემცველი.

ფაშიზმი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით ებრძვის მარქსიზმსა და უპირდაპირებს თავის თავს ბოლშევიზმს, აშკარაა, ლიტერატურის საშუალებითაც ეწევა ანტი-ბოლშევიკურ, ანტი - კომუნისტურ აგიტაციას, განსაკუთრებით ისე, როგორც მთლიანად ბურჟუაზიულ ლიტერატურისათვის, მისი ყურადღების ცენტრში სდგას საბჭოთა კავშირი, როგორც მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის კერა. აქედან ორი სამყაროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პრობლემა ფაშისტური ლიტერატურის მთავარი ხაზია.

ფაშისტური ლიტერატურა გამოდის მილიტარიზმისა და ნაციონალიზმის მედროშედ, წარსული იმპერიალისტური და მომავალი ომის აპოლოგეტად და ხელმძღვანელად. უკიდურესი შოვინიზმის თვალსაზრისით, ფაშისტი მწერლები ომს აცხადებენ ერთად ერთ საშუალებად ბოლშევიზმისაგან კაცობრიობის დასახსნელად. ბრალს სდებენ მუშათა კლასს წარსულ ომში „მოღალატეობისათვის“. გერმანელი ფაშისტები, ასე მაგალითად, იქამდისაც კი მივიდენ, რომ რემარკის ცნობილ რომანს „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ პაროდიით უპასუხეს. ფაშიზმი როგორც ბურჟუაზიის მებრძოლი რეაქცია—ებრძვის ყოველგვარ გუმანისტურ, პაციფისტურ გამოვლენას, აქედან ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დამოკიდებულებაში იქნება იგი პროლეტარულ და რევოლიუციონურ მწერლობასთან. ამისი საუკეთესო მაგალითია ჰიტლერის ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში, სადაც პროლეტარული მწერლები ფაშისტური ბანდების მიერ დარბეულ იქნენ, ციხეებში სხედან და მათ სასტიკ ტერორს განიცდიან. (ბეხერი, რენი, კიში და სხვ.)

როზა ლიუქსემბურგსა და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის ორგანიზატორები და მემკვიდრეები იდეოლოგიურ ფრონტზე მუშათა კლასის წინაალმდეგ შხამსა და გესლს ანთხევენ. იშვიათი თავხედობით, ფაშისტი მწერლები აღწერენ ფაშისტ მკვლელების მხეცურ გმირობას, თუ როგორ კლავდენ ისენი თოფის კონდახით რევოლიუციონერ მუშებს. ასეთ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის სწორედ სოლომონის —„დევნილები“, გეინცის—„ასაფეთქებელი ნივთიერება“ და სხვა იშვიათად „სამარცხვინო დოკუმენტები“, რომელიც ოდესმე დაწერილია გერმანულ ენაზე.

განსაკუთრებული სიძულვილით ებრძვის რა ფაშისტური ლიტერატურა მუშათა კლასს, ბოლშევიზმს, მას უპირისპირებს რელიგიას, ნაციონალიზმს, რასიულობას. იტალიელი ფაშისტი როსსი სწერდა: „მასებს სურს მხოლოდ მარქსიზმის ჭიდან სვან წყალი, თითქოს მისგან შეიძლება რაიმე სიბრძნის სწავლა“. ჰიტლერი ყოველ თავის სიტყვაში მარქსიზმის წინაალმდეგ ღვთისა და რელიგიის სახელით იმუქრება, „გერმანელ ერს შეუძლია განახლება მხოლოდ ქრისტიანული სახალხო ეკლესიის ფრონტზე“—აცხადებს იგი.

ფაშისტური წრეების ლიტერატურიდან დიდი უმრავლესობა ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც შოვინიზმი უკიდურესობამდე აღწევს. ამ ნაწარმოებში სიძულვილის მოსაზღვრე და ლიმიტროფული რესპუბლიკისადმი და მუშების რბევის გამართლება ეძლევა, როგორც ერის მოღალატეების წინაალმდეგ ბრძოლას. იმპერიალისტური გერმანიის აღსადგენად გერმანელი ფაშისტური მწერლები აცოცხლებენ ნაციონალურ წარსულის ტრადიციებს, ნაციონალური გმირების კულტს, საშუალო საუკუნოების ნაციონალურ მოტივებს. ვ. შეფერს თავის დრამებში გამოჰყავს ლიუტერი და ცვინგლი, ე. კენიგი დრამაში „დიტრიხ ბერნელი“ — აცოცხლებს ძველი გერმანული ალორძინების გმირს. ფრიდრიხ ბარტსი დრამაში „გერმანული მისია ადოლფ ჰიტლერისა“—ისტ. წარსულის ფრონტზე იძლევა იმპერიის აღორძინების იდეოლოგიას.

ფაშისტური ბურჟუაზია კაპიტალიზმის დაღუპვისაგან გადასარჩენად ეძებს მხსნელ გმირებს, „ზეკაცებს“, ძლიერ პიროვნებებს, ამიტომ იგი ეწევა ამ „ზეკაცების“ აპოლოგიას. ეს გმირები არიან—ჰიტლერი, მუსოლინი და მათი მსგავსნი. „ჩვენ ჩავთვლით უდიდეს მიღწევად, თუ რომ ჩვენში, ამერიკაში, გამოჩნდება ერთგვარი ეკვივალენტი მუსოლინისა, ის გამოგვადგება,

### ანტი-ფაშისტური მიტინგები პარიზში



ჰიტლერ-გერინგის მთავრობის უსაშინელესმა ტერორმა გერმანიაში დასავლეთის მოწინავე ინტელიგენციის ულრმესი აღშფოთება გამოიწვია. საფრანგეთის რევოლიუციონურ მწერლების და არტისტების ასოციაციის მიერ ფაშისტური ტერორის წინაალმდეგ გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე სიტყვა გამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი.

სურათზე—ანდრე ჟიდი სიტყვას ამბობს ანტი-ფაშისტურ მიტინგზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გვიხსნას ჩვენ ამერიკული ლუნინისაგან".—სწერს ამერიკელი ფაშისტი ბებიტი. საფრანგეთში მრავალი რომანი დაიწერა გენერალი ჟორჟის შესახებ, როგორც ნაციონალურ გმირის შესახებ. ყველა ამ ფაშისტურ მობილიზაციის დოკუმენტებს და ალვირ ახსნილ შოვინისტურ, რეაქციონურ იდეოლოგიას ახასიათებს იმპერიალისტური ავანტიურის ტენდენცია, სადაც დიდი ადგილი საბჭოთა კავშირთან ბრძოლის საკითხს უჭირავს.

ამ ნიადაგზე ვითარდება სამხედრო რომანების ერთგვარი ნაკადი, რომელიც ომის აშკარა გამართლებას და დიდებას იძლევა. ისინი ომს აღიარებენ, როგორც „ქვეყნის ჰიგიენას". ეწევიან ათასგვარ ყალბი „აფორიზმებით" ომის კლასიური ბუნების საზიზღარ ფალსიფიკაციას. თითქოს ადამიანებს მხოლოდ შეუძლიათ იფიქრონ, რომ მათ არ უყვართ ომი, მაგრამ ბუნებას უყვარს ბრძოლა და სიკვდილი". რომ თითქოს „ომი სიყვარულის დასაწყისია", რომ „ომში სიკვდილი მამაკაცის ბუნებრივი სიკვდილია".

ეს მოსაზრებები იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური გათახსირების მაჩვენებელია. ომის ასეთივე იდეალიზაციას და ესთეტიზაციას იძლევა მთელი რიგი რომანები, გერმანელების ბელეტრისტული ბიოგრაფიები, რომლის დანიშნულებაა ახალი იმპერიალისტური ომის გაღვიძება.

უკანასკნელ დროს ვითარდება ფაშისტური სამხედრო რომანების ერთგვარი უტოპიური ჟანრი. ასეთია მაგალითად რომანები, „1940 წლის კატასტროფა", „ომი 1960 წელში", „ომი 1936 წელში", „მსოფლიო ხანძარი 1950 წელში", „წითელი ნაპოლეონი" და სხვ.

ამ რომანების დანიშნულებაა, მოახდინოს მკითხველი მასების დემობილიზაცია მომავალი რევოლიუციების წინაშე. ამიტომ ამ რომანებში მომავალი ომი მრავალგვარი საშინელებითაა აღწერილი. ასე მაგალითად, მაილსის რომანში („ომი 1940 წელს") ოცდაორი წლის განმავლობაში იღუპება ორ მილიონ ნახევარი ნიუორკის მცხოვრებლებისა. მთელი ამერიკა ნადგურდება ოთხი საათის განმავლობაში.

რაშია საქმე, რათ სჭირდება მწერალს ასეთი კოშმარული ფანტასტიკა, რასაკვირველია იმისათვის, რომ დაამტკიცოს თითქოს ასეთი ომების მოწყობას ხელს უწყობს საბჭოთა კავშირი. რომ საბჭოთა კავშირი გაანადგურებს ცივილიზაციურ მსოფლიოს.

ფაშისტური მწერლობის ეს ცილისწამება და პროვოკატორობა ადვილი გასაგებია, მათ სურთ საბჭოთა კავშირს შეუშალონ ხელი სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. ასეთი ცილისწამებითაა აღსავსე მაგალითად შტეინგერის რომანი „1950 წლის მსოფლიო ხანძარი. აქაც ომის მიზეზად საბჭოთა კავშირია დასახელებული.

კიდევ უფრო აშკარაა ასეთი ბოროტი ზრახვები ჯიბსონის ფანტასტიურ რომანში „;წითელი ნაპოლეონი"—კარახანი ომს უცხადებს მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს. სასტიკ ბრძოლაში იმარჯვებს ძველი ქვეყანა. კარახანი იგზავნება კუნძულზე.

უმეტეს წილად ეს რომანები, ფანტასტიური და არა ფანტასტიურიც, მხატვრული თვალსაზრისით ხალტურაა, მაგრამ უდიდესი ბოროტებისა და მავნებლობის შემცველი და მატარებელი. ფაშისტური კონტრრევოლიუციონერობის სოციალური დემაგოგიის იარაღი, მუშათა კლასის წინააღმდეგ შიმართული აშკარა გამანადგურებელი ბრძოლის წარმოება.

ბურჟუაზიული მწერლობის ფაშისტური აქტივიზაცია ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის სიმდაბლის სასიკვდილო აგონიას. ბურჟუაზიული აგენტურის გამხეცებისა და და გაბოროტების სინამდვილეს, სადაც ნაციონალ-ფაშიზმი სოციალ-ფაშიზმთან ერთად გამოდის კაპიტალიზმის გადასარჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინის ინსტიტუტი თბილისში



სტალინის ინსტიტუტის შენობის პროექტი

საქ. მთავრობამ დაამტკიცა საქ. კ.პ. (ბ) ცეკასთან არსებულ სტალინის ინსტიტუტის შენობის აგების პროექტი, წარმოდგენილი არქიტექტორ სევეროვის მიერ. ახალი შენობა აგებული იქნება რუსთველის პროსპექტზე, იმ ადგილას, სადაც იყო სახლები 33 და 35. ეს იქნება უდიდესი სახლი, 45.000 კუბომეტრის მოცულობით. რუსთველის პრ. და კვალის ქუჩაზე ინსტიტუტის შენობის ასაგებ ადგილზე ასაღებ სახლებიდან მდგურები უკვე გამოსახლებულია და მათ მიეცა შესაფერი ბინები. სახლების აღება დაიწყო. მაისის პირველი რიცხვებიდან დაიწყება ინსტიტუტის შენობის მშენებლობა.

სტალინის ინსტიტუტი აგებული იქნება ახალ კლასიკურ სტილზე. შენობა იქნება ხუთ სართულიანი და მასში მოთავსდება: პარტიისი, რევოლიუციის მუზეუმი, სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტი, პარტიული არქივი, პარტიული ბიბლიოთეკა, რამდენიმე კაბინეტი და აუდიტორია პარტმუშაობისა და სწავლებისათვის.

ინსტიტუტი იქნება ერთ-ერთი უდიდესი შენობა თბილისში. პირველი სართულის ფასადი გაკეთდება გელათის ნაცრისფერი გრანიტიდან, დანარჩენი სართულები — ძეგამის თეთრი ქვიდან. მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1934 წ. სექტემბერში.

## ქალი სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე



— ლენინის სახელობის აბრეშუმის სართავი ფაბრიკა: ამხ. მარო ჭიაბრიშვილი —დაჯილდოებული იყო რამდენიმეჯერ გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფაბრიკაში მუშაობს 4 წელიწადია.



— ამხ. მარგო შენგელია—გორის რაიონის გლეხი—ქალი, პარტიის წევრი, საკავშირო ცაკის წევრი 1931 წლიდან. წარსულში—მკერავი, ლენინის სახელობის აბრეშუმის ფაბრიკის ქარგალი' ამჟამად—დაწინაურებულია სატრიკოტაჟო ფაბრიკის დირექტორად.

# ნილაბ ჩამოგლეჯილი მტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სასამართლოს შემადგენლობა: სასამართლოს წევრი პროფ. მარტენსი, სასამართლოს თავმჯდომარე— ამხ. ულრიხი, სას. წევრი ამხ. დმიტრიევი, სას. სათადარიგო წევრი ამხ. ზელიკოვი, პროკ. ამხ. ვიშინსკი

თითქმის ერთი კვირის განმავლობაში საბჭოთა სასამართლო არჩევდა ინგლისელ ხალხის მტრების ჯგუფის საქმეს. ამ ჯგუფში „საბჭოთა" სპეციალისტებთან ერთად, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიანდო ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი — ენერგეტიული მეურნეობა, იყვნენ უცხოეთის სპეციალისტები, რომლებსაც ჩვენ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში ვაყენებთ იმისათვის, რომ მათ დახმარება გაგვიწიონ ჩვენი საწარმოო გიგანტების აგებისა და მოწინავე ტეხნიკის დაუფლებაში. ველურმა სიძულვილმა პროლეტარული დიქტატურისადმი დაავიწყა მათ თავიანთი მოვალეობა, სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ნდობით მოეპყრო მათ. დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას მათ ამჯობინეს ფარული ბრძოლა პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ. ამას უკარნახებდა მათ კლასობრივი ბუნება. საბჭოთა კავშირის ძლევა-მოსილების შესასუსტებლად მათ მიზნად დაისახეს ჩვენი სახალხო მეურნეობის, ჩვენი საწარმოო გიგანტების მაცოცხლებელი გულის—ელსადგურების დაზიანება, მავნებლობა — აი კლასობრივი მტრის ნაცადი იარაღი. ინგლისის იმპერიალიზმის აგენტები, გადაცმული ინჟენერების სამოსელში, არ დაკმაყოფილდენ მარტო მავნებლობით. თავის „საბჭოთა" კოლეგების საშუალებით ისინი აგროვებდენ ჯაშუშურ სამხედრო ცნობებს იმათთვის, ვინც უცხოეთის გენერალურ შტაბებში დღე და ღამ ამზადებს ანტისაბჭოთა ომის გეგმებს. მოსყიდვა—აი ჯაშუშური ცნობების შეგროვების და მავნებლობის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ინგლისის შუბლმაგართა პრესამ ერთი განგაში ასტეხა, მიმართავდა დაშინებისა და მუქარის პოლიტიკას. ინგლისის მთავრობამ მიმართა სრულუფლებიან სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაუშვებელ ნაბიჯებს, რომ ხელი შეეშალა მავნებელთა და ჯაშუშთა გასამართლებისათვის. და მათ მართლა ჰქონდათ შეშფოთების საბაბი. ინგლისის მთავრობისა და შუბლმაგართა წრეებისათვის არა სასიამოვნო ამბავი იყო გამომჟღავნება იმ ძაფების, რომლებიც მოსკოვში საბრალმდებულო სკამზე დასმულთა საქმეს ააშკარავებდა ინგლისის ზოგიერთ ორგანიზაციებთან.

მაგრამ პროცესის ჩაშლის ყველა ცდები სასტიკად დამარცხდა. საბჭოთა სახელმწიფომ თავის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის პირით გადაჭრით და მტკიცედ განაცხადა იმათ საყურადღებოთ, ვისაც აქვს ყური გასაგონი, რომ ის მეთოდები, რომლებსაც ზოგიერთი სახელმწიფოები მიმართავენ, მაგალითად, მექსიკის მიმართ, საბჭოთა კავშირში არ გამოდგება. რომ საბჭოთა სასამართლო გააკეთებს თავის საქმეს შუბლმაგართა მუქარის მიუხედავათ.

და საბჭოთა სასამართლომ გააკეთა თავისი საქმე. მან გამოამჟღავნა ის მიზეზები, რომლებიც ასულდგმულებენ ჩვ. კლასობრივი მტრების მავნებლურ მუშაობას. ეს არის პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ზრდა. სასტიკად დამარცხებული აშკარად ბრძოლაში, ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის დამარცხების მოლოდინით იმედ გაცრუებული კლასობრივი მტერი იძულებულია მიმართოს მავნებლობას, სახალხო ქონების განადგურებას, ჯაშუშობას. განადგურებული კლასების ნიმუშები უცხოეთის კაპიტალისტური წრეების პირდაპირი დახმარებით ამ გზით ლამობენ მათთვის საძულველი საბჭოთა წყობილების დამხობას. სასამართლომ გამოამჟღავნა ის ძაფები, რომლებიც საბჭოთა კავშირში დარჩენილ ნაძირალებს აკავშირებენ ანტი-საბჭოთა ომის ორგანიზატორებთან უცხოეთში.

საბჭოთა სასამართლომ ერთხელ კიდევ ახადა ნიღაბი ჩვენს კლასობრივ მტრებს და გამოუტანა მათ აგენტებს ღირსეული სასჯელი.

მსოფლიო ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია აღიაროს სასტიკი მორალური მარცხი, რომელიც ინგლისმა განიცადა ამ პროცესის შედაგად და ის ეკონომიური ზიანი, რომელსაც მას მიაყენებს პროცესის ჩაშლის მიზნით საბჭოთა კავშირის მიმართ მიღებული ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი სათანადო დასკვნებს აკეთებს ამ პროცესიდან. ის კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას მეორე ხუთწლედის დიადი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, კიდევ უფრო გააძლიერებს თავის კლასობრივ სიფხიზლეს, რადგან მტკიცედ ახსოვს. თავის ბელადის ამხ. სტალინის გაფრთხილება: „რევოლიუციონური სიფხიზლე არის სწორედ ის თვისება, რომელიც განსაკუთრებით ესაჭიროება ახლა ბოლშევიკებს".

ე. წ.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დიდი დნეპრი"



დნეპროსტროის აგების წყალობით გადაიჭრა უდიდესი პრობლემა, რომლის მოგვარება ვერას გზით ვერ შესძლო მეფის მთავრობამ. ეს პრობლემა — ნაოსნობა დნეპრის მთელ სიგრძეზე, რასაც უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე — დნეპრი სანაოსნოდ მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოყენებული. მთელი მანძილი ახლანდელი დნეპროპეტროვსკიდან ზაპოროჟიემდე დაფარული იყო უზარმაზარი კლდეებით, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდნენ ნაოსნობისათვის. დნეპრჰესის ჯებირის აგების წყალობით დნეპრის დონე ამაღლდა და კლდეები წყლით დაიფარა, ამრიგად მოისპო დნეპრზე ბოლომდე ნაოსნობის შემაფერხებელი მთავარი მიზეზი. ამჟამად დნეპრამდე უკვე მოვიდა პირველი გემი — „იან რუძუტაკი" — დნეპროპეტროვსკიდან. ჯებირს ქვევით გემების გადასასვლელად დნეპრჰესის მარცხენა ნაპირზე კეთდება შლიუზები, რომლებშიც გავლენ გემები. შლიუზების მშენებლობის დამკვრელებმა ბოლშევიკური სიტყვა მისცეს პარტიას და ხელისუფლებას, რომ შლიუზი, მზად იქნება პირველი მაისისათვის გემების გასატარებლად.

ამრიგად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი „დიდი დნეპრის" პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრა.

სურათზე—დნეპრჰესის დასავლეთის რგოლის ერთ-ერთი ქვესადგურის მძლავრი ტრანსფორმატორები, რომლებშიც გაივლის დენი მეტად შეუფერხებლობისათვის.

# „აკრონ"-ის დაღუპვა



3 აპრილს ღამით დაიღუპა ამერიკის უდიდესი სამხედრო დირიჟაბლი „აკრონ". უცხოეთის გაზეთების ცნობით „აკრონ"-ის დაღუპვა შემდეგ პირობებში მოხდა:

3 აპრილს, საღამოს 7 საათზე 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით, დირიჟაბლი გაფრინდა ლეკჰერსტის საჰაერო პორტიდან. გაფრენას საცდელი ხასიათი ჰქონდა. გარდა დირიჟაბლის რაზმისა, რომელიც შესდგებოდა 19 ოფიცრისა და 57 მატროსისაგან. დირიჟაბლზე იმყოფებოდა: შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო საჰაერო ძალების უფროსი—70 წლის ამირბარი გოფ ფეტი, მისი ადიუტანტი კაპიტანი სესილი და კაპიტანი მაზური. ღამის 1 საათამდე და 30 წუთამდე ლეკჰერსტს საჰაერო სადგური წესიერად იღებდა რადიო-ცნობებს დირიჟაბლიდან შემდეგ ცნობების მიღება შეწყდა. დირიჟაბლი მოხვდა ძლიერ შტორმში. ავარია მოხდა ნიუ-ჯერსეის ნაპირებთან. დირიჟაბლი დაეშვა წყალზე 150 კილომეტრის მანძილზე ნიუ-იორკიდან და სწრაფად გაივსო წყლით. დირიჟაბლზე მყოფ 79 კაციდან გადარჩა მხოლოდ ოთხი—კაპიტანი ვილეი, რადისტი კოპლენდი, მატროსი—მოდი და კიდევ ერთი კომანდირიდან. კოპლენდი გარდაიცვალა გემზე, რომელმაც ის გადაარჩინა. დანარჩენი 75 კაცი დაიღუპა.

როგორც ირკვევა, დირიჟაბლის დაღუპვის უშუალო მიზეზი არის დირიჟაბლის ზედასაჭის დაზიანება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია გაზით სავსე ბალონების დაზიანება დირიჟაბლის ბოლო ნაწილში, გაზმა დაიწყო გამოჟონვა, დირიჟაბლის ბოლო ნაწილი გამჩატდა და მთელი კორპუსი წინა ნაწილით დაბლა დაიხარა 20 გრადუსით.

## ბრძოლა მალარიასთან ავიაციის საშუალებით



ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში დაჯილდოებული დამკვრელი მფრინავი ამხ. კალაშნიკოვი, რომელიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს მალარიასთან.

## ხელი შევუწყოთ მუშათა გამომგონებლობას.



გორის საკონსერვო ქარხანა: ამხ. სალომოტინი—თუნუქის ქილების ცეხის ენთუზიასტი მუშა-გამომგონებელი. გამოიგონა მექანიკური ტრანსპორტიორი, რამაც 50 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

# ფოტო-ქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკოლმეურნეო მინდვრების ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელი



ფ. მახარაძის სახელობის საუკეთესო დამკვრელი, მეთერთმეტე ბრიგადის ბრიგადირი და პარტორგი ამხ. ჩარგეიშვილი, რომელმაც პირველი კვარტალის გეგმა 122 პროცენტით შეასრულა.

## დამკვრელი ასოთ-ამწყობები



ქუთაისის ქალაქის საბჭოს სტამბის დაჯილდოებული დამკვრელი ასოთ-ამწყობები ამხ. ხელაძე და ბურჯანაძე, რომლებიც სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

## მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად



მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების გასაუმჯობესებლად „საქრძეფრინველის" დახურულმა კოოპერატივმა მოაწყო საკუთარი მეურნეობა, რომელსაც მოეპოება 28 ძროხა (თითეული იწველის 6—8 ლიტრს დღეში), 50 ღორი და გოჭი და ბოსტანი. მეურნეობა ფართოვდება.

სურათზე—ხევსურული ჯიშის ძროხის მოწველა „საქრძეფრინველის" მუშა-მოსამსახურეთა დახურული კოოპერატივის მეურნეობაში.

## კარალეთის კოლმეურნეობა ამზადებს ტრაქტორისტებს



კარალეთის კოლმეურნეობის კომკავშირის აქტივმა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით მოაწყო ტრაქტორისტების კურსები.

სურათზე—კომკავშირელი ტრაქტორისტი ამხ. ფურცხიძე უხსნის კოლმეურნეებს მაგნეტოს მოქმედებას.

## სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე



საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები პრაქტიკულ მუშაობაზე.

სურათზე—სტუდენტები გუთნის გამოცდაზე.

## პიონერები ეუფლებიან სამხედრო ტექნიკას



ა.-კ. გაერთ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს პიონერთა კოლექტივი ეუფლება სამხედრო ტექნიკას. სურათზე მეცადინეობა სროლაში.

# ფიზკულტურა და სპორტი





**მარცხნივ:** 9 აპრილს გაიხსნა საგაზაფხულო სასპორტო სეზონი დინამოს სტადიონზე. მატჩი „დინამო" ივანოვო-ვოზნესენსკი დამთავრდა ანგარიშით 2—3. სურათზე — „დინამოსა და ივანოვო-ვოზნესენსკის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა.
**მარჯვნივ:** 12 აპრილს დინამოს სტადიონზე მოეწყო ნიშნის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" ნორმების [illegible] ჩაბარება. სურათზე—ინდ. ტექნიკუმის სტუდენტი აბარებს ნორმას: გადახტომა სიმაღლეზე.

ეროვნული ბიბლ...

## ამხ. დ. ხმიადაშვილი



ა.-ქ. რადიომშენის დამკვრელი ინჟინერი, დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენით რადიომშენებლობის დარგში უდიდესი ენტუზიაზმისა და ენერგიის გამოჩენისათვის.

## მზადება მეორე საბჭოთა ბლიუმინგის ამუშავებისათვის



პირველი საბჭოთა ბლიუმინგი უკვე მუშაობს მაკეევკის ქარხანაში. დღის წესრიგში—მეორე საბჭოთა ბლიუმინგის ამუშავება კამენსკოეში.

## გავადიდოთ თბილისის მწვანე ფართობი



გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე დაიწყო სასწრაფო მუშაობა რუსთაველის პროსპექტზე ახალი მწვანე ნარგავებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, რის შემდეგ დაიწყო ხეების დარგვა.

## მოწაფეებიდან — ოსტატებათ



ლითონის კონსტრუქციების ქარხანა (თბილისი) პირველ მაისისათვის უშვებს შემდუღებლების ახალ კადრებს, რომლებმაც გაიარეს სამთვიანი სპეციალური კურსები. სურათზე კურსდამთავრებულები ამხ. გოცაძე და ივანოვი.

## ხმის დაყრუება



ახალი ამერიკული სამგზავრო აეროპლანი „კურტის კონდორი", რომელზედაც დადგმულია სპეციალური აპარატები პროპელერების ხმაურობის დასაყრუებლად. ეს აეროპლანი იტევს 15 მგზავრს, მათ ბარგს და კომანდას. ფრენის სისწრაფე—170 კილომეტრია.



## თბილისი მიიღებს წყაროს წყალს.

ნაძალადევში ფართოდ გაიშალა მუშაობა ნატახტარის წყალსადენისათვის მილების გასაყვანად და მათ შესადუღებათ.

სურათზე—დამკვრელი ბრიგადის კომკავშირელი წევრები ამხ. ზალევი და ანანოვი ნატახტარის წყალსადენის მილების შედუღებაზე.

## ა.-ქ. სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტში



ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაამზადეს ორმოების მთხრელი მანქანა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. მანქანა მოძრაობაში მოჰყავთ სატრაქტორო წევის საშუალებით. მანქანის მუშაობის ნაყოფიერება ორასჯერ უფრო დიდია, ვიდრე ხელით მუშაობის.

ფასი 3 კაპ.

87/110

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა კამოს 68. მთავლიტის რწმუნებული გ—559